ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№82 (143) 31 აგვისტო 2010 სახალხო მოძრაობა "საქართველოს" ორგანო 30 თეთრი

ბილოცავთ!

ხელისუფლებამ პური გააძვირა!

ვერ იქნა და ვერ ამოიყორა სტომაქი ხელისუფლებამ. მთელ მსოფლიოში საწვავი იაფდება, მაგრამ ხელისუფლება საქართველოში საწვავს მაინც აძვირებს, რადგან უმაღლესი ხელისუფლების რამდენიმე ოჯახი აკონტროლებს ამ ბიზნესს. ახლა კი ხელისუფლებამ პურიც გააძვირა 20-25 პროცენტით, რადგან ამ ბიზნესსაც თავად აკონტროლებს. და ეს გაძვირება მოხდა მაშინ, როცა საქართველოს ძველი ფასებით აქვს შეძენილი ხორბალი და არავითარ შემთხვევაში პურზე ფასი არ უნდა გაძვირებულიყო, ვიდრე მეპურეები გაძვირებულ ხორბალს არ შეიძენდნენ.

როგორ შეიძლება ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებასთან რაიმე ზნეობრივ კატეგორიებზე საუბარი – საქართველოს მართვის სათავეში დგანან გაუმაძღარი ჩარჩები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ და ფეხებზე ჰკიდიათ ხალხის ბედი! ხელისუფლებიდან ღრუტუნის ხმა მოდის!

აბა, მაშინ, ამათ რა გააძღებთ!

12

"რა ადვილია სიკვდილი, როცა ასე გიყვარს სიცოცხლე"
თამაზ ბაძაღუა

ავარია ხონი-მარტვილის გზაზე და ნარაზენელი

8-10

ჭიჭიკო მეწისქვილე!

დავით კიკალიშვილი

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით

3

მეგრული ვოეგიის რაფსოდია

პოეტი ლაშა გახარია

5

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ავკაცობა და ვერაგობა არავის შერჩება

3 მამანტი ჯოლია

ივანე ჯავახიშვილი

ქართველ ერის ისტორია

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.



9

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულმა ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ქურდოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებულ "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაა აღწერილი. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.

ილია ჭავჭავაძის სტუმრობა აფხაზეთში

სულმნათი ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე გაუნელებელი ყურადღებით აკვირდებოდა და ეხმიანებოდა აფხაზი ხალხის ყველა სატკივარს. ოთარ ჭურღულიას სიტყვებს თუ გავიმეორებთ: **"ილია ჭავჭავაძის დიდი ინტერესი აფხაზეთისა და აფხაზებისადმი, ამ მოძმე ხალხის ყოფა-ცხოვრების, კულტურის, სარწმუნოების, ზეპირსიტყვიერების, ტრადიციებისა და სახალხო განათლებისადმი ერთიორად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ქართველმა მწერალმა საკუთარი პერიოდული ორგანო – გაზეთი "ივერია" დააარსა... გაზეთ "ივერიას" ჰქონდა საგანგებო რუბრიკები: "აფხაზეთი", "სოხუმი", "დაბა გუდაუთა", "დაბა ოჩამჩირე", "სამურზაყანო", "აბეკუა", "აფხაზეთ-სამურზაყანო", "ოქუმი"** (ო. ჭურღულია, **"დიდი ილია და აფხაზეთი"**, გაზეთი **"საბჭოთა აფხაზეთი"**, 21.04.1972 წელი).

ილია ჭავჭავაძეს უახლოესი მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდა აფხაზი ხალხის არაერთ ღირსეულ შვილთან – გიორგი მიხეილის ძე და გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეებთან, დავით ანჩაბაძესთან, დავით ჩქოტუასთან და სხვებთან. არც თუ იშვიათად აფხაზი თანამოძმეები ილიას სტუმრობდნენ ხოლმე თბილისსა და საგურამოში.

ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით შეიქმნა ამ საზოგადოების განყოფილება აფხაზეთში, დაარსდა არაერთი საგანმანათლებლო ცენტრი და სკოლა, მათ შორის სოხუმშიც, რომელსაც ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ჯანაშია ხელმძღვანელობდა.

საერთოდ, მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოსახლეობის სწავლა-განათლების საკმაოდ ვრცელი ქსელი ჩამოყალიბდა. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის დამფუძნებელი და ორგანიზატორი სწორედ სულმნათი ილია ჭავჭავაძე გახლდათ!

დღე არ გავიდოდა, რომ საქართველოში ახალი სკოლა არ გახსნილიყო. ერში სწრაფად მატულობდა წერა-კითხვის სწავლის მსურველთა რიცხვი, რადგან ქართველები სწორედ განათლებაში ხედავდნენ საქართველოს ბედნიერ მომავალს.

მიუხედავად მოუცლელობისა, ილია ჭავჭავაძე დაუსრულებლად მოგზაურობდა საქართველოს ერთი მხარიდან მეორეში, ხსნიდა ახალ სკოლებს, ჩაჰქონდა სასწავლო ლიტერატურა და სხვადასხვა თვალსაჩინოებები, ესწრებოდა გაკვეთილებს, აქტიურად ეხმარებოდა პედაგოგებს და წერა-კითხვის გამავრცელებლებს.

1903 წელს გაგრაში რეალური სასწავლებლის დაარსებაში მონაწილეობის მისაღებად პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელმა ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ მიიწვია აფხაზეთში. ეს ილია ჭავჭავაძის პირველი სტუმრობა იყო ამ ულამაზეს კუთხეში. ილიას თან ახლდნენ ბათუმის გუბერნატორი ნიკოლოზ ერისთავი, თბილისისა და სიღნაღის თავადაზნაურობის მარშლები ალექსანდრე ორბელიანი და დიმიტრი ჩოლოყაშვილი. ისინი, გაგრიდან დაბრუნებულნი, ორი დღით სოხუმში შეჩერებულან. მათ საპატივცემულოდ 24 მაისს ძმათა შარვაშიძეების სასახლის ბაღში საგანგებო სადილი გაიმართა, რომელზეც სოხუმის საზოგადოების რჩეული ნაწილი, იმჟამად აფხაზეთში საგასტროლოდ ჩასული ქართული თეატრის მსახიობები და ძუკუ ლოლუას მომღერალთა გუნდიც იყო მიწვეული.

სპეციალურად გამართულ სადილზე ილია ჭავჭავაძეს საგანგებო სიტყვით მიუმართავს აფხაზ-ქართველი მასპინძლებისათვის: "ბატონებო, დიდი პატივისცემით მოგესალმებით! ბედნიერი გახლავართ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულ კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს... მადლობელი გახლავართ თქვენი დახვედრისათვის, ჩემი პატივისცემისა და დღეგრძელობისათვის!

თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ასე ადვილად არ დავეჩაგვრინებით. რომაელთა ერთი თქმა მაგონდება, სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერით, ეს თემა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსთვის მაინც-მეთქი! თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს, ვინც ამას არა ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, რამე გავარდეს ხელიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილა ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილად იმედი ნუ აქვს ცხოვრების ჭიდილში ფონს გავიდეს: ასეთი ერი, ვიმეორებ, სარწმუნებელი უნდა იყოს, რომ მას საკაცობრიო სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეით აცდება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს! ყველასაგან გათელილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავის ძალღონით არ ჰლამობს ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე.

თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიკური მოდონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენა გვჩაგრავენ, თავზე გვასხდებიან (როგორი დიდი სიმართლე თქვა სულმნათმა ილიამ, განა დღესაც არ იჩაგრებიან ქართველები თბილისში თუ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში? – **"ილორი"**). აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათდება, სასოებით მევსება. მთელი ქალაქი თქვენს ხელშია; აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ, გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთ-ორად აქციოთ, ფხიზლობთ, ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან, როგორ უკეთესად და სარფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე, ამისათვის თქვენთვის გამჩენს შნო მოუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კიდეცა. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონივრები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს. თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს, ვუერთგულეთ, ბურთი და

მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება.

რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა (ალბათ მაშინდელზე უფრო აუცილებელია, რომ დღესაც ასე მოხდეს, თორემ საქართველოს გადაგვარება-განადგურებას უკვე წინ აღარაფერი უდგას – **"ილორი"**), უნდა ასწავლოს, რომ იმათ ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ...

მაშ გაგიმარჯოსთ, ბატონებო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს: ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად!"

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავკაცობა და ვერაგობა არავის შერჩება

ტრაგიკულ მოვლენათა მონაწილის ტრიბუნა

ამ წერილის დაწერისაკენ მიბიძგა გაზეთ **"ილორში"** (მისი ერთგული მკითხველი ვარ) გამოქვეყნებულმა საბჭოთა უშიშროების ყოფილი წარჩინებული მუშაკის, სულგანათლებული გიორგი (ხუტა) ხუფენიას წერილმა **"მეგრული ნაციონალიზმი"**, სადაც დაწვრილებით, დასაბუთებულად ხდება იმის დადასტურება, რომ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი რუხაძე, თავის პირსისხლიან დამქაშებთან ერთად ყველაფერს აკეთებდა მეგრელების სამშობლოს ღალატში დასადანაშაულებლად და მათი საქართველოს მტრებად წარმოსაჩენად. ამრიგად, მისი სანუკვარი მიზანი გახლდათ მეგრელების შორეულ აღმოსავლეთში გადასახლება. ეს რომ რუხაძის უტყუარი და წინასწარ შერჩეული მიზანი იყო, ადასტურებს ისიც, რომ იგი მოღალატის ეტიკეტის მიწებებას უპირებდა არა მხოლოდ ქვეყნის ზედა ეშელონებში დასაქმებული მეგრელებს, არამედ მეგრული წარმოშობის რიგით უდანაშაულო ადამიანებსაც. ამის მიღწევას კი რუხაძე მოახერხებდა წინასწარ საგულდაგულოდ შეგროვებული **"მამხილებელი"** (სინამდვილეში კი – ყოველი წესისა და რიგის უგულვებელყოფით შეთითხნილი) საბუთების სახალხო სასამართლოებში გადაგზავნით და საჩვენებელი სასამართლო პროცესების გამართვით. ამის ნათელი მაგალითი გახლდათ ის ისტორია, რაც პირადად მე გადამხდა.

25 წლის ჭაბუკი გახლდით, როცა მოხალისედ წავედი დიდ სამამულო ომში. მონაწილობას ვიღებდი აქტიურ საომარ მოქმედებებში და ფრონტიდან მრავალი ორდენისა და მედლის კავალერად დავბრუნდი. სწორედ მაშინ სურდათ ჩემი **"მხილება"** სამშობლოს ღალატში, მეგრულ დანაშაულებრივ ელიტასთან კავშირის ბრალდებით, რომლის არცერთ წარმომადგენელს მე მაშინ საერთოდ არ ვიცნობდი. წარმოშობით სამეგრელოდან ჩემნაირი ქართველები მაშინ უხვად ჰყავდათ ამოღებული მიზანში, რათა ხელოვნურად გაეზარდათ **"მოღალატე მეგრელთა"** რაოდენობა. რუხაძისა და მისი გარემოცვის ძირითადი მიზანი იყო მიეყენებინათ ჩრდილი მეგრული წარმოშობის დიდი ქართველის ლავრენტი ბერიას სახელისათვის, დაერწმუნებინათ სტალინი მის ორგულობაში და მოეშორებინათ იგი საბჭოთა ქვეყნის მართვის სადავეებიდან. ბერიას ადგილის დაკავებას მაშინ ენერგიულად ესწრაფვოდა ახალგაზრდობისას კონტრაბანდისტობაში (ბათუმში) არაერთგზის შემჩნეული, იმჟამად საბჭოთა უშიშროების გენერლის ფორმაში შეფუთული რუხაძე.

ხუტა ხუფენია – ასე ვიცნობდი მე **"ილორში"** გამოქვეყნებული უაღრესად საინტერესო პუბლიკაციის ავტორს. იგი გახლდათ ბრწყინვალე ჩეკისტი და უწესიერესი ადამიანი (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!).

ჩემი ზუგდიდში ყოფნის დროს (მე გარკვეული პერიოდი სამეგრელო-სვანეთის უშიშროების სამსახურის უფროსი გახლდით) ბატონი ხუტა ხშირად მსტუმრობდა, რაც ორივე ჩვენგანისათვის სასიხარულო მოვლენა გახლდათ, რადგან საათობით წარსულის ტკბილ-მწარე მოგონებებში გადავეშვებოდით ხოლმე. აქვე, ბატონ ხუტასთან ერთად არ შეიძლება დიდი პატივისცემით არ მოვიგონო სულგანათლებული ლადი ზაქარაია, რომელიც ზუგდიდის უშიშროების პირველი უფროსი იყო და შემდეგ დიდ ხანს იმუშავა საქართველოს ერთ-ერთი ურთულესი რეგიონის – აჭარის უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე. სწორედ ჩვენ სამეულზე მოდიოდა ყველაზე დიდი დატვირთვა საგანგებო სიტუაციების დროს, რადგან რეგიონში ოპერატიული ვითარების დაძაბვისას (რაც დიდი სამამულო ომის დროს თუ ომისშემდგომ პერიოდში არც თუ იშვიათი მოვლენა გახლდათ) მუდამ ერთმანეთს ვედექით მხარში.

იდგა 1951 წელი, თვე არ მახსოვს (მას შემდეგ ხომ თითქმის 60 წელია გასული). მაშინ სადგურ ოჩამჩირის რკინიგზის უშიშროების ქვეგანყოფილებაში ვმუშაობდი – სულ ერთი წლის მისული გახლდით საბჭოთა უშიშროების ორგანოებში. ისიც მინდა მოვუთხრო მკითხველს, თუ როგორ მოვხვდი საქართველოს უშიშროების ორგანოებში.

ის-ის იყო წარჩინებით დავამთავრე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, რომ აფხაზეთის განათლების მინისტრმა სერგო სიგუამ თავისი პირადი განკარგულებით გამაგზავნა ერთ-ერთი რაიონული სკოლის დირექტორად. გახარებული ვიყავი, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ამ თანამდებობაზე მხოლოდ სამი დღის განმავლობაში ვიმუშავე, რადგან კვლავ განათლების მინისტრმა დამიბარა და მითხრა: შენი პიროვნებით აფხაზეთის საოლქო კომიტეტში დაინტერესდნენ და სასწრაფოდ იქ უნდა მიხვიდეო. თან ისიც დააყოლა – გამორიცხული არ არის, საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად დაგნიშნონო. სიმართლე გითხრათ, ამგვარი სიახლის მოსმენა სრულიადაც არ გამხარებია, რადგან ისტორიკოსის პროფესია ძალიან მხიბლავდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ მეცნიერების სფეროში ვაპირებდი გადანაცვლებას. მაგრამ სხვა გზა არ მქონდა და ბედს დამორჩილებული მივედი აფხაზეთის საოლქო კომიტეტში.

მიმიღო საოლქო კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა ივანე ტუსკაძემ, შესანიშნავმა ქართველმა და დიდებულმა პიროვნებამ, რომელმაც ჩემთან ხანმოკლე გასაუბრების შემდეგ იხმო შესაბამისი განყოფილების უფროსი, რომელმაც თითქმის იქვე შეადგინა ბრძანების ტექსტი და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობა უკვე ინსტრუქტორის რანგში დავტოვე.

ჩემს წინ სრულიად ახალი პერსპექტივა გადაიშალა. მიუხედავად უაღრესად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, მაინც ვახერხებდი რომ სპეციალურ ისტორიულ ლიტერატურას გავცნობოდი და საკუთარ თავზე მემუშავა. მაგრამ, მალე აქაც შეიცვალა ყველაფერი. სულ სამი თვე ვიმუშავე აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად და ერთადერთი, რაც ამ ხნის განმავლობაში მოვასწარი, იყო გალისა და გაგრის პარტიის რაიონული კომიტეტების ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შემოწმება.

დილით სამსახურში მისულს მითხრეს, რომ აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი აკაკი მგელაძე გიბარებსო.

აქვე აღვნიშნავ, რომ ბატონი აკაკი მგელაძე მე ჯერ კიდევ 1947 წელს გამაცნო ჩემი ყოფილი დივიზიის მეთაურმა გენერალმა ბაბრაკოვმა და შეიძლება ითქვას, რომ მან მგელაძეს ჩემი თავი საპატრონებლად ჩააბარა. მე ეს არ დამვიწყებია, მაგრამ, როგორც ჩანს, გენერლის დანაბარები არც აკაკი მგელაძეს ჰქონდა დავიწყებული.

– შვილო, ხვალვე უნდა გაემგზავრო თბილისში და საქართველოს უშიშროების ორგანოებში მუშაობის დაწყებისათვის აუცილებელი სამედიცინო კომისია უნდა გაიაროო. – მითხრა ბატონმა აკაკიმ.

ერთი კი გავიბრძოლე და ბატონ აკაკი მგელაძეს შევკადრე: უშიშროების ორგანოებში მუშაობა არ მინდა, რადგან იქ ისტორიკოსის სპეციალობას და პედაგოგობას მოვწყდები-მეთქი, მაგრამ ჩაფიქრებულმა მგელაძემ მითხრა:

– შენით ისეთ დონეზეა ხალხი დაინტერესებული, რომ არც ჩემი და არც შენი უარი იმათ გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენსო.

მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევას არც ამჯერად ჰქონდა აზრი და მეორე დღეს უკვე სოხუმი-თბილისის მატარებელში ვიჯექი. მაშინ მხოლოდ ხუთი ახალგაზრდა კაცი გაგვაგზავნეს აფხაზეთიდან თბილისში უშიშროების სისტემაში მოხვედრის კანდიდატებად. ალბათ ბედისწერის კაპრიზი გახლდათ ის, რომ იმ ოთხ ახალგაზრდას ჯანმრთელობა დაუწუნეს და უკან დამწუხრებულები დააბრუნეს, მე კი აბსოლუტურად ჯანმრთელად მიმიჩნიეს, რაც იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ მალე ახალ ცხოვრებას დავიწყებდი. უკან რომ ვბრუნდებოდით, ჩემი მეგობრები ლამის ტიროდნენ, რომ უშიშროებაში არ მიიღეს, მე კი პირიქით – იმის დარდი არ მასვენებდა, რომ ისტორიკოსის სპეციალობას ბავშვებთან პედაგოგად მუშაობის ოცნებას სამუდამოდ უნდა გამოვმშვიდობებოდი და ახლა კი, როცა მეცხრე ათეულ წლებს მივითვლი, სიმართლე უნდა ვთქვა: ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო უშიშროების ორგანოებში მუშაობა, რადგან ჩემს პერიოდში ეს დაწესებულება ნამდვილად სუფთა ხელებით მუშაობდა და მე უამრავი სასიკეთო საქმე გამიკეთებია საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის!

დავუბრუნდები ისევ ოჩამჩირის სადგურის რკინიგზის უშიშროების ქვეგანყოფილებას, სადაც ოპერრწმუნებულად ვმუშაობდი, ლეიტენანტის წოდებით (უშიშროების მაშინდელი ლეიტენანტი რანგით საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების თუ შინაგან საქმეთა ორგანოების კაპიტნის წოდების ტოლფასი გახლდათ – **"ილორი"**). ამავე დროს ვიყავი ქვეგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი და ამიტომაც მე გადმომცეს რაიკომიდან გადმოგზავნილი საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახურული წერილი, რომელიც უშიშროების ქვეგანყოფილების პარტორგანიზაციის კრებაზე უნდა განგვეხილა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს ორგანიზაციაში უშიშროების და მილიციის პარტიული თანამშრომლების გარდა გაერთიანებული იყვნენ ახლომდებარე წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული კომუნისტებიც.

აღნიშნული დახურული წერილი სწორედ **"მეგრელთა საქმეს"** ეხებოდა, რამაც ყველა მწარედ დაგვაფიქრა. თავში მხოლოდ ერთი აზრი გვიტრიალებდა: **"ნუთუ მართლა არსებობენ მეგრული წარმომავლების ხელმძღვანელები, რომლებსაც თურქეთთან გააჩნიათ დანაშაულებრივი კავშირები?.. ნუთუ მართლა არსებობენ ხალხის მტრები?.."** და სხვა.

ამრიგად, უშიშროების პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებამ ჩაიარა **"ნუთუ-ნუთუ"**-ს ძახილით, მაგრამ ყველამ მაინც ერთხმად დაგმო მტრული დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილისადმი. მეც და ჩემს მეგობრებსაც ძალიან გვაწუხებდა იმაზე ეჭვი, რომ დახურულ წერილში მოყვანილი ფაქტები სიცრუე იყო, მაგრამ მაშინ ამის ხმამაღლა თქმას ვინ გაბედავდა! შემდგომში კი, ჩემი ეჭვი, სრულად დადასტურდა.

ამ წერილის განხილვიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ სადგურ ოჩამჩირეში ჩამოდგა სპეციალური ვაგონი, რომელიც ეკუთვნოდა ამიერკავკასიის რკინიგზის უშიშროების უფროსს ბატონ სიმონიშვილს. ვაგონით ჩამობრძანდა სიმონიშვილის პირველი მოადგილე პოლკოვნიკი სხირტლაძე თავისი რვა გამომძიებლით. თავშივე უნდა აღვნიშნო, რომ ბატონი სხირტლაძე აღმოჩნდა დიდებული პიროვნება – თავისი საქმის უბადლო სპეციალისტი, გამოცდილი ჩეკისტი და უმწიკვლო პრინციპული პიროვნება.

ამ კომისიამ რომ მუშაობა დაიწყო, მათი განკარგულებით ქვეგანყოფილების თანამშრომლები საკუთარ კაბინეტებში ვიყავით გამომწყვდეულები და გარეთ ცხვირს არ გვაყოფინებდნენ. 10 დღე ვიყავით ასე. მხოლოდ ის გვესმოდა, თუ კორიდორში როგორ შემოდიოდნენ ვიღაც ადამიანები. მათი ვინაობა ჩემთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.

10 დღის შემდეგ ბატონი სხირტლაძე პირადად ესაუბრა ქვეგანყოფილების თანამშრომლებს. ჩემთან საუბრისას, მიუხედავად დიდი დაძაბულობისა, გუნება-განწყობა გამომიკეთა მისმა უშუალობამ, საუბრის კეთილშობილურმა მანერებმა, საქმის ღრმად ცოდნამ, რამაც იქონია კიდეც გავლენა ჩვენი შეხვედრის საბოლოო შედეგზე. სხირტლაძემ მამაშვილურად მითხრა (არასოდეს დამავიწყდება მისი სიტყვები): **"შენ, ჩემო კარგო, აქ არაფერი გესაქმება, დავბრუნდები თუ არა თბილისში, ბრძანებას დავწერ და სოხუმში გადაგიყვან დაწინაურებით!"**

უზომოდ გამახარა ზემდგომის ამ გადაწყვეტილებამ, რადგან სოხუმში მამაჩემის მიერ ნაყიდი პატარა სახლ-კარი გამაჩნდა, რომელიც მოუვლელი იყო. მაგრამ, უბედურება სწორედ მაშინ მეწვია, როცა ბედნიერების მოლოდინში ვიყავი – სიმონიშვილი თურმე დიდად უკმაყოფილო დარჩენილა კომისიის მიერ ოჩამჩირეში ჩატარებული გამოძიებით და მისი ხელმეორედ თბილისში ჩატარება მოუთხოვია კატეგორიულად.

თბილისში ჩასვლისთანავე მივაშურე ამიერკავკასიის რკინიგზის უშიშროების შენობას (მაშინ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში შედოდნენ აზერბაიჯანის და სომხეთის რკინიგზის უწყებებიც, რომელთაც ხელმძღვანელობდა შესანიშნავი პიროვნება და სპეციალისტი გიორგი ქადაგიძე). საშვთა ბიუროში შევედი თუ არა, იქ დამხვდა 30-მდე ოჩამჩირელი მოქალაქე – ზოგი ნაცნობი, ზოგი კი უცნობი. წამსვე გავაცნობიერე, რომ სწორედ ესენი დადიოდნენ ოჩამჩირის ქვეგანყოფილების შენობაში მაშინ, როცა ჩვენ კაბინეტებში ვიყავით გამომწყვდეული. გამიკვირდა – რა უნდა ჰქონდეს ამათ ჩემთან საერთო-მეთქი. ცდილობდნენ საგულდაგულოდ მომსალმებოდნენ, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე და მე-5 სართულს მივაშურე, სადაც სიმონიშვილის სამუშაო კაბინეტი იყო განთავსებული.

რასაკვირველია, მე ხელმძღვანელებიდან მანამ არავინ მიმიღებდა, ვიდრე ეს ოჩამჩირიდან ჩამოსული მოქალაქეები თუ მოწმეები არ დაიკითხებოდნენ. როგორც იქნა, მომიწია დრომ და შევედი სიმონიშვილის კაბინეტში. საუბრის დასაწყისისთანავე ვიგუმანე, რომ სიმონიშვილი აშკარად არ იყო ჩემს მიმართ უარყოფითად განწყობილი.

როგორც იქნა გავიგე, რომ ვიღაცას ჩემზე **"დიდი მონდომებით"** დაუწერია დასმენის წერილი (სამწუხაროდ, როგორც შემდეგ გაირკვა, არა მხოლოდ ჩემს მიმართ), რომელშიც **"მხილებული"** ვიყავი პარტიის ცეკას დახურული წერილის აქტიურ მოწინააღმდეგედ (არა და, სწორედ მე გავიტანე აღნიშნული წერილი განსახილველად პარტორგანიზაციის კრებაზე). მაშინვე მივხვდი, რომ საქმე არც მთლად ცუდად არის, რადგან, უშიშროების ხელმძღვანელობას ამ წერილში მოყვანილი **"ბრალდებები"** რომ ერწმუნა, მე უკვე ციხის კამერაში უნდა ვმჯდარიყავი დახვრეტის თუ არა, ხანგრძლივი პატიმრობის მოლოდინში მაინც.

დავმშვიდდი, მაგრამ გული მაინც მიგრძნობდა, რომ ეს უზომოდ გაბერილი საქმე მთლად იოლად არ დასრულდებოდა.

ასეც მოხდა...

მამანტი ჯოლია,

დიდი სამამულო ომის მონაწილე, გადამდგარი პოლკოვნიკი, სსრკ უშიშროების საპატიო ჩეკისტი, საქ. უშიშროების ვეტერანთა საბჭოს წევრი, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ასე რომ, მასიურმა საბჭოთა მკითხველმა (თუ კი შეიძლება **"მასიური მკითხველი"** უწოდო ენციკლოპედიური გამოცემების მოყვარულთ) არაფერი იცოდა სსრკ შინსახკომის ორ კომისარიატად გადაკეთების თაობაზე, არც ის, რომ სასაზღვრო ჯარები ლავრენტი ბერიას ხელქვეით იმყოფებოდნენ, არც ის, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვა ადარ ემორჩილებოდა ბერიას და არც სხვა მრავალი რამ. სამაგიეროდ ყველამ **"კარგად"** იცოდა, რომ რომ ომის დაწყება ვერ გათვალა შინსახკომის დაზვერვამ, იმიტომ, რომ ომის დაწყებამდე ბერიამ გაანადგურა ყველა გამოცდილი მზვერავი. სხვათა შორის, მრავალი მათგანი დღესაც ასე ფიქრობს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ 1941 წლის 3 თებერვლიდან 1941 წლის 20 ივლისამდე (როცა ეს ორი სახალხო კომისარიატი კვლავ გაერთიანდა და თავში ბერია ჩაუდგა) შინსახკომს არ გააჩნდა საგარეო დაზვერვის სამსახური!

არ გააჩნდა!

მაგრამ განა დღეს ეს ვინმეს ახსოვს?

სხვათა შორის, მიუხედავად **"დემოკრატთა"** მტკიცებისა, არც 1940-1941 წლებში გაუნადგურებია ვინმეს სსრკ შინსახკომის თუ უშიშროების სახალხო კომისარიატებში დასაქმებული საბჭოთა მზვერავები.

აი, ასეთ ინფორმაციულ ვაკუუმში თხზავენ თავიანთ ცილისმწამებლურ პასქვილებს **"დემოკრატი"** შემოქმედები.

სამწუხაროდ, ეს **"ტრადიცია"** დღესაც გრძელდება.

ახლა კი მკითხველს ვთხოვ მოთმინებით აღიჭურვოს, რადგან ფრიად მოსაწყენ საქმეს შეეუდგებით – სტრიქონ-სტრიქონ გავარჩევთ გორჩაკოვის ნააზრევს.

ის, რომ **"ბერიას ჩანაწერების"** სტილი არ წააგავს სამსახურეობრივ დოკუმენტს, ფაქტია. ის, ვინც მუდმივად ქმნის საქმიან ქაღალდებს, მექანიკურად გამოიმუშავებს გარკვეულ ლექსიკას და თავისებურად აგებს ფრაზებს. და ეს დამახასიათებელია ნებისმიერი ქვეყნისათვის, ნებისმიერი დაწესებულებისათვის, ნებისმიერი ენისათვის. აქ კი სახეზე გვაქვს რაღაც გაბურძგნული სტილი, რაც დამახასიათებელია იაფფასიანი დეტექტივების შემოქმედთათვის. დააკვირდით, თვით ჟარგონ **"დეზი"**-ს (იგულისხმება შემოკლებული სიტყვა **"დეზინფორმაცია"**) ხმარება ამ, თითქოსდა დოკუმენტში, თავისთავად ამჟღავნებს მის სიყალბეს.

არასწორად არის გადმოცემული გვარებს მისადაგებული თანამდებობებიც. სტალინმა თვით ტუპიკოვის თანამდებობაც კარგად იცოდა, არამც თუ დეკანოზოვისა და გოლიკოვის. ამასთან, ავტორი არ უთითებს დეკანოზოვის ინიციალებს (რომელსაც შესანიშნავად იცნობდა ბერია) და ეს სავსებით გასაგებიცაა: დეკანოზოვი ამ სიყალბის ავტორისათვის სიმბოლო გახლავთ, რათა მიანიშნოს მკითხველს (და არა სტალინს) თუ კონკრეტულად ვისზეა საუბარი. და ის, რომ ამგვარი ხასიათის დოკუმენტში ყველას გვარის წინ იწერებოდა **"ამხ."**, ფალსიფიკატორს მხედველობიდან გამორჩა. თუ მაშინ პიროვნების ინიციალებს არ მიუთითებდნენ, მაშინ სწერდნენ **"ამხ. დეკანოზოვი, ამხ. გოლიკოვი და ა.შ."**

"მწვავე კალმის" მფლობელმა თავი ვერ შეიკავა, რომ არ გამოეყენებინა საკმაოდ ბლაგვი კალამბური **"ტუპიაკი ტუპიკოვი"**, მაგრამ ბერია არ იყო იმდენად **"ტუპიაკი"**, რომ მსგავსი ტერმინები გამოეყენებინა სტალინისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში.

გორჩაკოვს უნდა დაარწმუნის მკითხველი, თუ როგორ ემლიქვნელებოდა ჯალათი ბერია სტალინს (როცა დეკანოზოვის გამოხმობის აუცილებლობაში არწმუნებდა ბელადს) და ამიტომ უაზრო გამონათქვამებით ავსებს მის ლექსიკას. გამორიცხულია, რომ მას ტრადიციად ქცეული მიმართვა **"ამხანაგო სტალინ"**, შეეცვალა მიმართვის **"იოსებ ბესარიონის-ძევ"**. მაგრამ მკაცრი მიმართვა **"ამხანაგო სტალინ"**, აშკარად ამოვარდნილი იქნებოდა საერთო ტექსტიდან და ფალსიფიკაციის ავტორი ამიტომაც იყენებს მლიქვნელურ ფრაზას: **"იოსებ ბესარიონის-ძევ"**...

რაც შეეხება **"პოდპოლკოვნიკ ნოვობრანცევს"**, გორჩაკოვი ცრუობს, როცა მას მიაწერს ინფორმაციის გამოგზავნას იმის თაობაზე, რომ ჰიტლერმა 170 დივიზიას მოუყარა თავი საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვარზე. ამგვარი პიროვნება დაზვერვის ისტორიაში ფიქსირებული არ არის. თუ უფრო ზუსტები ვიქნებით, შეიძლება გორჩაკოვს მხედველობაში ჰყავს **ვასილ ნოვობრანეცი**, იმიტომ, რომ 1941 წლის მაისში იგი გახლდათ მე-6 არმიის შტაბის სადაზვერვო სამმართველოს უფროსის მოადგილე და სანქციის გარეშე გაავრცელა **"სადაზვერვო ცნობა №8"**, სადაც საუბარი იყო ომისათვის გერმანიის მზადებაზე.

საერთოდ, ასეთი ქმედება სასჯელს იმსახურებს, რადგან ნოვობრანეცის მხრიდან ეს გახლდათ, თუნდაც არა შეგნებული, მაგრამ მაინც სახელმწიფო მასშტაბის მქონე პროვოკაცია. მაგრამ იგი მხოლოდ სამსახურიდან მოხსნეს და... დასასვენებლად გაამწესეს ოდესაში მდებარე სადაზვერვო სამმართველოს დასასვენებელ სახლში. 1941 წლის 22 ივნისს კი დანიშნეს უკვე იმავე არმიის შტაბის სადაზვერვო სამმართველოს უფროსად.

სასაცილოა, მაგრამ ნოვობრანეცთან დაკავშირებული კაზუსი (კარგად თუ დავაკვირდებით, აქ სხვა უამრავ კაზუსსაც აღმოვაჩენთ) იმის აშკარა მტკიცებულება გახლავთ, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესმა ხელისუფლებამ კარგად იცოდა გერმანელთა 170 დივიზიის საბჭოთა საზღვრებთან თავმოყრის თაობაზე და ბევრი სხვა ისეთი ინფორმაციაც, რომლის თაობაზეც ელემენტარული წარმოდგენა არ გააჩნდა თვით არმიის შტაბის სადაზვერვო სამმართველოს უფროსის მოადგილეს ნოვობრანეცს. ამიტომაც არ დასაჯეს, რომ, იგი, უფრო გულისთქმას აჰყვა და უგულვებელყო სამსახურეობრივ ნორმები. არ არსებობს მზვერავი მკაცრი დისციპლინისა და ცენტრისადმი უსიტყვო მორჩილების გარეშე. მაგრამ არმიის ყველა სადაზვერვო სტრუქტურებში არ შეიძლება მხოლოდ გენიოსები იყვნენ დასაქმებული, ნოვობრანეცს კი, ასე თუ ისე, გენშტაბის აკადემია ჰქონდა დამთავრებული.

ამიტომ, მას ყურები კი არ დააგლიჯეს, მხოლოდ მცირე ხნით დასვენების საშუალება მისცეს. და ის, რომ ნოვობრანეცი კარანტინში გააგზავნეს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე – 1941 წლის მაისში, მხოლოდ გორჩაკოვის **"ბერიას"** შეეძლო დაყრდნობოდა მის ინფორმაციას 1941 წლის 21 ივნისს.

და რაც კიდევ უფრო სახალისოა! გორჩაკოვის მიერ დაფრქვეული სიყალბის თანახმად დეკანოზოვი უაღრესად ფხიზელ ადამიანად არის წარმოდგენილი. ზალესსკის ბიოგრაფიულ ცნობარში კი დეკანოზოვს ბრალი ედება იმაში, რომ დროულად ვერ გაერკვა სიტუაციაში საერთოდ არ ჰქონდა წარმოდგენა ჰიტლერის დამპყრობლური გეგმების შესახებ.

ისე, თუ სიმართლეს ვიტყვით, ეს ორივე მტკიცებულება აშკარად მოკლებულია ჭეშმარიტებას. დეკანოზოვი არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა კატეგორიული და უფრო მეტად თავისი ყოფილი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რეზიდენტის ამაიაკ ქობულოვის პოზიციას იზიარებდა, რომელსაც გერმანელებმა, სტრატეგიული დეზინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, ორმაგი აგენტი ბერლინკსი დაუახლოვეს, რომელიც სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში მიკუთვნებული ჰქონდა მეტსახელი **"ლიცეისტი"**. ასე რომ, ვერავის ვერავითარ **"დეზს"** უხვად ვერ მიაწვდიდა დეკანოზოვი. მას შეეძლო ესარგებლა მხოლოდ **"ლიცეისტის"** მიერ მიწოდებული ინფორმაციით, რაც წინასწარ შეგნებულად გახლდათ დამახინჯებული.

მაგრამ ყრუ და ჭკუანაკლული უნდა იყოს ის, ვინ დაიჯერებს, რომ სტალინს შეეძლო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა აეგო მხოლოდ ერთი, თუნდაც ბერლინში მოქმედი რეზიდენტის მიერ მოწოდებულ სადაზვერვო ინფორმაციაზე. ამასთან, ცენტრის პირდაპირი მითითების თანახმად, ჩვენთვის ცნობილმა ალექსანდრე კოროტკოვმა 1941 წლის მარტიდან გააქტიურა ზემდეგ ჰარრო შულც-ბოიზენთან სადაზვერვო კავშირი, რომელიც ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციებს იძლეოდა. და ეს ინფორმაცია დროულად იდებოდა იქ, სადაც იგი საჭირო იყო – ქვეყნის ხელმძღვანელთა მაგიდაზე, რომლის თაობაზე მე კიდევ ვიტყვი...

შესავლისათვის კი მე მკითხველს შევახსენებ მეორე, არანაკლებ ამაღელვებელ **"სენსაციაზე"**, რომელიც განთავსებულია გორჩაკოვის წიგნში. ავტორი ასე გვაწვდის მასალებს:

"ძველ საქაღალდეზე, რომელშიც ეს შეტყობინებები ინახება, გახუნებული იისფერი მელნითაა მითითებული ფონდის, აღწერილობის, საქმის ნომერი. როცა საქაღალდეს გადახსნი, თვალში გეცემა მძლავრად დაწოლილი მუდმივი კალმით გაკეთებული რეზოლუცია: "უკანასკნელ პერიოდში ბევრი მუშაკი წამოეგება ხოლმე თავხედურ პროვოკაციას და თესავს პანიკას. საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები ქორი, კარმენი და ალმასი, როგორც დეზინფორმაციის სისტემატური მომწოდებლები, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გადაგზავნილები კოლონიებში, როგორც საერთაშორისო პროვოკატორთა ხელშემწყობები, რომელთაც სურთ წაგვაჩხუბონ გერმანიას. დანარჩენები მკაცრად გაფრთხილდნენ". ხელმოწერა: "ლ. ბერია, 1941 წლის 21 ივნისი".

ახლა ამ შეთხზულ სიბინძურესაც გავეცნოთ... თავშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ თურმე ბერიასათვის ნაცნობი ყოფილა სიტყვა **"დეზინფორმაცია"**, რომელსაც იყენებს ამგვარი შიდა მნიშვნელობის დოკუმენტის შედგენის დროსაც კი. აი, სტალინისადმი წარდგენილ სერიოზულ დოკუმენტში კი იგი რატომღაც იყენებს ჟარგონს **"დეზი"**. მაგრამ, ერთიანობაში, სტილი არც აქაა დაცული და ეს **"ბერია"** საქმიან რეზოლუციაში რატომღაც იყენებს უფრო მიტინგისათვის შესაფერის სიტყვებს: "**საერთაშორისო პროვოკატორთა ხელშემწყობები... სურთ წაგვაჩხუბონ გერმანიას...**"

და ეს **"ბერია"** თარიღს სვამს არა ისე, როგორც ამას გააკეთებდა რეალური ბერია. ბერიასთვის ჩვეული იყო თარიღის ასე აღნიშვნა: **"21/VI"**. სწორედ ასეთი წვრილმანების გაშიფვრით აშკარავდებიან ფალსიფიკატორები.

შემდეგ... დაზვერვაში არ არსებობენ **"საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები"**, **"სექსოტები"** და ა.შ. ეს თანამედროვე **"დემოკრატების"** ლექსიკა გახლავთ. ამ საქმის პროფესიონალებისათვის კი არსებობენ მხოლოდ **"ოპერატიული მუშაკები"** და **"აგენტები"**. და რაც მთავარია, საბჭოთა დაზვერვის ისტორიაში არ არსებობენ კოდური სახელწოდებები **"ქორი"**, **"კარმენი"**, **"ალმასი"**, **"ერთგული"**... ისინი კიდევაც რომ არსებულიყვნენ, **"დემოკრატ"** გორჩაკოვის მიერ გამოგონილი **"ბერიას"** განკარგულებით, ომის დაწყებამდე (1941 წლის 21 ივნისს) მაინც ვერ მოხერხდებოდა მათი კოლონიებში გამწესება. 22 ივნისს ამ **"ალმასების"** ფასი უკვე კაპიკის ღირებულების ტოლფასი გახლდათ... მაგრამ, ხომ არ არსებობდნენ თვით **"ალმასებიც"**...

მაგრამ აქ მთავარი ტერმინია – "**დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გადაგზავნილები კოლონიებში...**" ეს ფრაზა იმდენად ხშირად ფიგურირებას ბერიას რეზოლუციებში, რომ ამგვარ კორიანტელში ძნელდება ჭეშმარიტების დანახვა! საეჭვოა, რომ ლავრენტი ბერიას ლექსიკაში ჰქონოდა ამგვარი სიტყვები... ეს ხომ **"დემოკრატები"** უკავშირებენ მჭიდროდ ბერიას სახელს ავადსახსენებელ **"გულაგებს"**! იგი კი, 1931 წლიდან, როცა ქვეყანაში გულაგების სისტემის აღორძინება იწყებოდა, 1938 წლამდე, პარტიულ სამუშაოზე იმყოფებოდა. სსრკ შინსახკომის თანამდებობაზე ყოფნისას კი იგი უფრო გარეთ ერეკებოდა ხალხს გულაგებიდან, ვიდრე შიგნით...

მიუხედავად ამგვარი პირზე დუჟმორეული მტკიცებულებისა, ყოველივე ეს ძალზე შორს დგას ჭეშმარიტებისაგან, რადგან 1941 წლის 12 თებერვლის შემდეგ შინსახკომის ყოფილი საგარეო საქმეთა განყოფილება ეკუთვნოდა არა ამ უწყებას, არამედ სახელმწიფო უშიშროების სახელმწიფო კომისარიატს.

ასე რომ, ამ უწყების თანამშრომლები უკვე ემორჩილებოდნენ არა ბერიას, არამედ მერკულოვს! ასე არ არის? ასე რომ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ბერიას რომელ რეზოლუციაზე შეიძლება საუბარი ამ თანამშრომლების მიმართ?

ბერია არ წააწერდა საქმიან ქაღალდს ამ რეზოლუციას 1941 წლის 21 ივნისს იმიტომაც, რომ მან და სტალინმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ამ პერიოდისათვის მსოფლიო უკანასკნელ მშვიდობიან დღეებს ითვლიდა!

მაგრამ, საწყისისათვის მე მაინც მოვიყვან ბერიას სამ ჩანაწერს (პირველს, პრაქტიკულად – მთლიანად). აქვე შეგახსენებთ, რომ 1941 წლის 3 თებერვალს ბერია აღარ ხელმძღვანელობდა სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის სადაზვერვო სამმართველოს, მაგრამ მის განკარგულებაში უკვე იმყოფებოდნენ სსრკ სასაზღვრო ძალები.

სწორედ მისი ინიციატივით, 1941 წლისათვის, სსრკ სასაზღვრო ძალებს გააჩნდათ საკუთარი დაზვერვა, რომლის შემადგენლობაში აღარ ირიცხებოდა **"საზოგადოების ნაღები"**. მაგრამ სასაზღვრო ჯარების დაზვერვის მესვეურებს უანგაროდ და ენერგიულად ეხმარებოდნენ ორთქმავლის მემანქანეები, დამზეთავები, მეისრეები, სადგურების რესტორანთა პერსონალი, უბრალო მუშები და სასაზღვრო ზოლის დასახლებათა მაცხოვრებლები.

ისინი ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ და აგროვებდნენ ინფორმაციებს, რომელთა თავმოყრა ობიექტურ სურათს იძლეოდა. სწორედ ამ ჭიანჭველათა ძალისხმევის სარგებლიანობაზე იყო საუბარი სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლავრენტი ბერიას მიერ სტალინისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში.

აღნიშნული დოკუმენტები გამოქვეყნებულია 1995 წელს გამოცემულ კრებულში **"ჰიტლერის საუდუმლო საბუთები სტალინის მაგიდაზე"**, რომელიც რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო ბიუროს ინიციატივით დაისტამბა მოსკოვის გაერთიანებულ საქალაქო არქივთან ერთად. ჩემს მიერ სპეციალურად სქელი შრიფტითაა გამოკვეთილი მკითხველისათვის საინტერესო ზოგიერთი ფაქტი და მოვლენა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრული პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექილია-ნაბორდიშა).

ფარამ კოცს ლურ ვაუღუ,
ვართ უფარე გეჯან ხუცუ.
ჰარამ გური მუს არძღინე –
ირო ხუშანც დო კუჭუნცუ.

შხვაშ ქონება ქოძირუ და
დაჩხირ ქალარძამუ გურცუ,
ვართ თინა უჩქ, უვაიჭარეს,
ბრელ ფარასი მუ მოყუნცუ!..

ართის ფარა ალაქვაჩანს,
თინა მაჟიასი ორკუ;
უხანდელო ნაშიბ ფარა
ჯიბეს ონტუ, მითას ორგუ.

უფარობათ დაჩხირი რე,
თექ ბრელც შარა აკუბორკუ.
ფარაშ შიბას უფუ ოკო,
ვეხანდიდა, ეშ ვასორგუ.

ვართ ნახირა ფარა ირგუ –
ხათე წყორუნც კოჩიშ ფერსი;
მახინჯ ღორონც ვაუყორც –
ტყურათ გეხართ ჯვარ კისერსი.

თაშ ვარდასინ, ჩე დღას მეჩანდ
დო ვართ ხოლო – უჩა სერსი.
დუც იღორენც ხეჭყელ, ვარა,
ვართ მოლას წანც, ვართ პირსელცი.

ობშხაჭითას ზემოთიშა
ჭე გვიანო გემშვოგეგე
დიდ კარაჩხა მემკვეწელუდ,
მარა... ჯიბე მაფუდ ქექე.

ონასხირეთ მი მუს მერჩანც –
ხვეწათ ბირგულ გიგნიქერქე?!
გურ ვაგიბტახ, – მუმულ ინდურც
გამაღეთი ქევუქექე.

მინჯექ ფასკუნჯ რდუკონ თეში,
ცას ქიგმაყონ მუშ წუია,
– სათანაფოთ ვოგვანუანდ,
თეშ საცივც მუ უჯგუნია.

თუმან ორაგადე ვარე,
ქიყიდ, ნეძი დუსხუნია...
ყვაშე უფუგამკიწილოხ
გიბჭუჭელე ბუძგურია!..

მიკიბჯინინ... ქულა კოცი
ქულა ქაცარ ქიმეყუნცუ,
ბიგას ქიმუკაკუანსუ,
გოჭელ ღართი მუკაქუნცუ,

ოროცალო ქეყვაუნი –
თეშ ყიდირი ალაბძ გურცუ,
მარა თუმანც ვადულანჭუ,
ჭურაცალო ურთანც დუცუ.

ფულიან კაცს არ აქვს ძილი
არც უფულო გრძნობს თავს კარგად,
გულხარბიანს რა გააძღობს
მუდამ ხვეტს და მუდამ კუჭავს.

სხვა თუ ნახა ფულიანი,
ცეცხლი მოედება გულზე
და არ იცის ბედდამწვარმა
რა მოჰყვება ამ სიხარბეს.

ერთი მუდამ ფულში ცურავს,
მეორეს არ გააჩნია,
უშრომელად ფულის შოვნა,
ჯიბეს წვავს და არვის არგებს.

უფულობაც ცეცხლია და –
ცხოვრების გზა შემბორკავი,
ფულის შოვნას ოფლი უნდა,
უშრომელად ვერ იშოვი.

მოპარული ფული ხოლმე
კაცს წაახდენს და ფერს უცვლის,
ქურდი ღმერთსაც აღარ უყვარს,
დაიხლართოს თუნდაც ჯვარი,

ასე რომ არ იყოს, მაშინ
დღეს მისცემდა ღამის ნაცვლად,
თავს იზყუებს ხელწყეული –
არც მღვდელს უყვარს და არც პირსელს.

სააღდგომო ბაზრობაზე
ცოტა გვიან შევლასლასდი,
დიდ კალათას მოვათრევდი,
ჯიბეები მქონდა მჩატე.

სასესხებლად ვინ რას მოგცემს –
თხოვნით – მუხლი გადიტყავო,
გული აღარ გავიტეხე
და ინდაურს წავეტანე.

თითქოს ჰყოლოდა ფასკუნჯი –
ცამდე აიყვანეს ჭუკი:
– სააღდგომოდ ვასუქებდი,
ამის საცივს რა სჯობია.

– თუმანს კაპიკს არ დავუკლებ,
ჰა, ნიგოზიც, დარჩეული...
ოფლმა შუბლი დამიცვარა,
ბურძგლმა ტანი დამიჭინჭრა.

მოვიხედე: კოჭლსა კაცსა
კოჭლი თიკანი მოჰყავდა,
ხელ-ჯოხს მოაკაკუნებდა,
ეცვა ჩოხა დაკემსილი.

აჩრდილივით ავედევნე,
გადავწყვიტე თიკნის ყიდვა,
მაგრამ თუმანს არ დაუკლო,
თავს აქნევდა ვით აყირო.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ნაპო მესხიას წიგნიდან "როგორ გასხვისდა აფხაზეთი".

აფხაზეთის ქართველ დეპუტატებს ქვეყნის იმჟამინდელი ხელისუფლება არ ენდობოდა, ისინი ე.წ. ზვიადისტებად მიაჩნდათ, ამიტომაც უმწეო და განიარაღებული აღმოვჩნდით.

ამაში გამორჩევით, აფხაზეთის ქართული საზოგადოების თავკაცებმა შესცოდეს. ეს უპირველესად, თამაზ ნადარეიშვილის და შინაგან საქმეთა მინისტრის გივი ლომინაძის საზრუნავი გახლდათ, თუმცა მათ, საუბედუროდ, არ ეცალათ. ისინი უფრო ახალი **"პარტიების"** და პარალელური მინისტრთა საბჭოს, მისი სტრუქტურების ფორმირებით, მუდამ გაუთავებელი სატელევიზიო გამოსვლებით, წინასაარჩევნო თვითრეკლამით, პირადი თუ კლანური ამბიციებისა და კომერციული ინტერესების რეალიზაციით იყვნენ დაკავებული.

ისინი იგნორირებდნენ დეპუტატთა ჯგუფის წინადადებებს, შექმნილიყო ადექვატური შეიარაღებული ძალები. გვარწმუნებდნენ, გვაიმედებდნენ, რომ **"ადგილზე, აქ არაფერი გამოვა, აქ ვერაფერს შევქმნით. არსებობს ჯარი და საჭიროების შემთხვევაში მას შემოვიყვანთო"**. ეს სიტყვები (ჩემი წინადადებების პასუხად) შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ გივი ლომინაძეს ეკუთვნის (სტილი დაცულია!). მას მხედველობაში **"მხედრიონი"** და გვარდია ჰყავდა ალბათ!

ამ დროს გრძელდებოდა სამეგრელოს აწიოკება. ჩვენც და აფხაზებიც ვხედავდით, რაც იყო **"მხედრიონი"** და გვარდია. სამეგრელოს არაერთგზის დალაშქრის შემდეგ, აფხაზეთში მათი შემოსვლა კატასტროფას ნიშნავდა. ეს საკითხი მოსვენებას არ მაძლევდა: ვიმეორებ, ომი თუ გარდაუვალი იყო, ადგილობრივ ქართველობას უნდა ეომა, როგორც 1989 წლის ივლისის დღეებში, და მას უნდა დახმარებოდა დანარჩენი საქართველო. ეს პრინციპულად სხვა ხედვა, პრობლემებისადმი სხვა მიდგომა იყო. თუმცა სამეგრელოს დახმარების იმედი თანდათან იწურებოდა, ვინაიდან **"მხედრიონმა"** და გვარდიამ ლამის გაანადგურეს ეს კუთხე; აქ კოლხებს ესროდნენ როგორც არაქართველებს და მათ გაუქრათ ყოველგვარი ენთუზიაზმი და სიმხნევე. აბა, სხვა დროს, გავიხსენოთ 1989 წლის ივლისის მოვლენები სოხუმში, როდესაც მოხდა პირველი სისხლიანი შეტაკება, მთელი სამეგრელო ფეხზე წამოდგა და აფხაზი სეპარატისტები დაშოშმინდნენ, ყველაფერი ერთ დღეში დასრულდა. დაინახეს ძალა და დაწყნარდნენ. ახლა კი, როდესაც სამეგრელოს სულში ჩააფურთხეს და დუტუ მეგრელის ცნობილი ლექსის პერიფრაზით: **"ქართლ, კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა"**-ს სიმღერით მარშირებდა **"მხედრიონი"** თუ გვარდია – კლავდნენ და ხოცავდნენ სამეგრელოს მკვიდრთ, ხოლო ლამის დანარჩენი საქართველო ერთობოდა ტაშ-ფანდურით, ცეკვა-სიმღერით, **"ნადდი შოუთი"**, დუბაის და ანტალიის რეკლამებით, სამეგრელოს აფხაზეთისათვის ნამდვილად არ ეცალა. სამეგრელოში დარბევებით, სისხლით და მახვილით მოსულმა ხელისუფლებამ, სახელდახელოდ მოურღვია ზურგი აფხაზეთის ქართველობას, პირისპირ დატოვა იგი აფხაზურ მხარესთან და მის ჩრდილოელ მხარდამჭერებთან...

...იმის ხილვა, თუ როგორ გაჰქონდათ თვითმფრინავებით, გემებით, ბარჟებითა და სხვა საშუალებებით დატვირთული ნადავლი **"მხედრიონელებს"** სოხუმიდან, მოსვენებას არ მაძლევდა. ვხედავდი, რომ აფხაზეთის ქართველობა განწირული იყო...

...აფხაზურ მხარესთან შეხვედრა გაიმართა მინისტრთა საბჭოს შენობაში, სერგეი ბადაფშის კაბინეტში. ის მაშინ ვიცე-პრემიერი იყო. აფხაზური მხრიდან მას ესწრებოდნენ ბატონები სერგეი ბადაფში, კონსტანტინე ოზგანი, ენვერ კაპბა, დავით ფილია, ზურაბ აჩბა, ვლადიმერ ზანთარია და სხვა. ქართულ მხარეს, ჩემს გარდა, წარმოადგენდნენ ჯემალ გამახარია, კიმი ჯაჭვლიანი და ნუგზარ მგალობლიშვილი. საუბარი ძირითადად წარიმართა ოზგანსა და ჩემს შორის. განვიხილეთ მთავრობის თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოხუმისა და გაგრის საკითხები. გამოიკვეთა, რომ მათთვის ეს საკითხი არ იყო მთავარი, მათ აინტერესებდათ ჩვენი, ქართული დეპუტაციის დაბრუნება პარლამენტში. ამას აშკარად არ ამჟღავნებდნენ, მაგრამ იგრძნობოდა. თუ ჩვენ შევთანხმდებოდით აღნიშნულ საკითხებში, ეს ავტომატურად გამოიწვევდა ჩვენს მისვლას პარლამენტში, განხილვაში მონაწილეობას, მაშასადამე – შერიგებას და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში შემდგომ სრულფასოვან საქმიანობას...

როგორც უკვე აღვნიშნე, ცნობილია ბატონი ედუარდის არაერთგზის **"აღსარება"** იმის თაობაზე, რომ მარცხი კი განიცადა აფხაზეთში, მაგრამ მას ეს კუთხე და მისი მკვიდრნი ერთი წუთითაც არ მიუტოვებია. მისი განცხადებით, მან ყველაზე ბოლოს დასტოვა აფხაზეთი.

მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე თითქმის ყველამ კარგად იცის, არიან ადამიანები, რომლებიც, რატომღაც შევარდნაძის ამ ვერსიას გამუდმებით ადასტურებენ. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება სიმართლისა და ისტორიული მოვლენების **"სწორად აღმრიცხველი"** ბატონი ზურაბ პაპასქირიც. ის ექომაგება თავისი ბელადს – ედუარდ შევარდნაძეს და ამტკიცებს, რომ მან აფხაზეთი დატოვა ყველაზე ბოლოს, სოხუმის დაცემის შემდეგ: **"28 сентября ранним утром из Бабушерского аэропорта вылетел самолет, на борту которого находился Глава государства Республики Грузия Э. Шеварднадзе... с сопровождающими лицами"**, (Абхазия. Ист. без фальсиф. стр. 453).

ეს მტკნარი სიცრუეა. შევარდნაძემ (თანმხლებ პირებთან ერთად) აფხაზეთი დატოვა არა 28 სექტემბერს, როგორც ამტკიცებს მისი მეხოტბე, არამედ 26 სექტემბრის დილის ხუთის ნახევარზე. ამას ვადასტურებ იმდენად, რამდენადაც ამ დროს ვიმყოფებოდი აგუძერის ჰოსპიტლის (რომელიც იქვე, აეროპორტის გვერდითაა!) საოპერაციოში და დაჭრილთა ოპერირებით ვიყავი დაკავებული: შევარდნაძის თვითმფრინავი აფრინდა ზუსტად 26 სექტემბერს, დილის ხუთის ნახევარზე. ეს მეორე დღესვე დაადასტურა აეროპორტის უფროსმა ზაურ ხაინდრავამ!

დღეს ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია!

ისიც კარგად არის ცნობილი, თუ როგორ შეუქმნა რუსეთის სპეცსამსახურებმა დერეფანი და მისცა მას საშუალება გაედწია სამშვიდობოს, თუ როგორ აფრთხილებდნენ ყველას, არ ჩამოეგდოთ მისი თვითმფრინავი **"Не трогайте, не сбивайте! Летит белый лис!"** – ასეთი იყო რუსეთის სპეცსამსახურების მითითებები.

ეს რადიოგრამა ყველამ მოისმინა და კარგად გვახსოვს, მაგრამ ეს ბატონ პაპასკირს რატომღაც, არ ახსოვს.

ასეთია ამ მიუკერძოებელი **"ჟამთააღმწერის"**, ბატონი პაპასკირის ხელწერა და მისი პირმშო – **"Абхазия. История без фальсификации"**.

ახლა თავად განსაჯეთ, თუ რამდენადაა სარწმუნო, ობიექტური, შეუვალი და სწორი ზურაბ პაპასკირის და ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრების პოზიცია აფხაზეთთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემურ საკითხებში.

ჩემს მიერ აღნიშნული ფაქტების და შეფასებების დასტურად ერთ ეპიზოდსაც მოგითხრობთ, რომელიც სწორედ ამ დროს სოხუმის დაცემის ბოლო წუთებს ასახავს.

ცოტა მოგვიანებით მკითხველი უფრო დეტალურად შეიტყობს თუ როდის, რა ვითარებაში მოხერხდა სოხუმის ნეიროქირურგიული ცენტრიდან დაჭრილებისა და თანამშრომლების ზუგდიდში გადაყვანა. ეს 25 სექტემბერს გამთენიისას მოხდა. წინა საღამოს, ჩემთან, ნეიროქირურგიის ცენტრში მოვიდა გენერალი გენო ადამია, მოინახულა თავისი მეომრები, რომლებიც განთავსებული იყვნენ ჩვენთან, ნეიროქირურგიის კორპუსში. მოწინააღმდეგე კი ამ დროს სოხუმის ახალი რაიონის შესახვევთან იყო დისლოცირებული – სულ რაღაც 250-300 მეტრზე, მაგრამ ისევე, როგორც გენერალ გენო ადამიას, ნეიროქირურგიული ცენტრის თანამშრომლებს არ შეგვშინებია! (ამაზე ოდნავ მოგვიანებით). 25 სექტემბერს, საღამოს 10-11 საათზე ისევ შეეხვდი გენო ადამიას, მაგრამ უკვე აგუძერის ჰოსპიტალში, მისი ვაჟის – ელგუჯას კაბინეტში. ბატონი გენო ხელში იყო დაჭრილი, ჭრილობა გაურთულდა. შეხვევის შემდეგ, ჩვენ ჩავიმუხლეთ და ჩვენს შორის გულახდილი საუბარი გაიმართა.

ისტორიული მეხსიერება და გეოპოლიტიკური კანონზომიერება ითხოვს

უნდა დაგარწმუნოთ, პატივცემულო მკითხველო, რომ საღად მოაზროვნე ანალიტიკური ქართველობა პატივ სცემს ისტორიულ მეხსიერებას, რომელიც ღაღადებს: რუსეთის მეშვეობით საქართველო გადაურჩა გარდაუვალ ასიმილაციას. მან თურქეთს ნაბიჯ-ნაბიჯ გამოსტაცა ხელიდან სხვადასხვა დროს მიტაცებული ქართული მიწები, კერძოდ: ახალციხე-ახალქალაქის მხარე, ტაო-კლარჯეთი, აჭარა-ბათუმი, ფოთი და ა.შ. ყოველივე ამისთვის რუსეთმა თურქეთის წინააღმდეგ ოთხი მძიმე ომი გადაიხადა. ამ ომებს ბევრი რუსი ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე შეეწირა ქართველ პატრიოტებთან ერთად. ისტორიული მეხსიერება არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ აღნიშნულ ომებში დაღვრილი სისხლი დავიწყებას მივცეს. ამ სისხლის საფასურად რუსეთმა არა მარტო თურქების მიერ მიტაცებული მიწები დაგვიბრუნა, არამედ ერთ მთლიან ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ჩარჩოშიც მოგვაქცია, ასე ვთქვათ, აკინძა სამეფო-სამთავროებად გათიშულ-გაფანტული და დაპირისპირებული, ხშირად ურთიერთ საომარ მდგომარეობაში მყოფი ქართული მიწები.

ვიცით, ოპონენტები თავს დაგვესხმებიან, მაგრამ სათქმელს მაინც ვიტყვით და შევეცდებით, რუსეთთან ჩვენი უპირატესი სიახლოვის გარდაუვალობის შესახებ მკითხველს სათანადო არგუმენტებით მივაწოდოთ.

დიახ, მეფის რუსეთი ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის თუ სხვა ქვეყნების მსგავსად, კოლონიზატორულ პოლიტიკას ეწეოდა, მაგრამ არ შეიძლება არ დავეთანხმო თანამედროვე გერმანელ ისტორიკოსს, პროფესორ ანდრეას კაპლერსაც, რომელიც წერს: „მთლიანობაში რუსეთის იმპერია არსებითად განსხვავდებოდა კოლონიური იმპერიისაგან; მასში არ იყო მკვეთრი დაყოფა გაბატონებულ ფენასა და არარუსულ ქვედა ფენებს შორის. მეფის იმპერია არ იყო უბრალოდ **„ხალხთა საპყრობილე“**, როგორც ლენინი ფიქრობდა, არც კოლონიური იმპერია, როგორც დღეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების არარუსი ეროვნებისა და დასავლეთელი ისტორიკოსები აცხადებენ“. შემდეგ კაპლერი აგრძელებს: **„რუსებიც არარუსებივით ჩიოდნენ, რომ ცარისტული სახელმწიფო მათ ჩაგრავს და ექსპლუატაციას უწევს“.** ბოლოს კიდევ ერთი ამონაწერი მისი ვრცელი წერილიდან: **„რუსი გლეხები უფრო უარეს სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციაში იმყოფებოდნენ, ვიდრე ბალტიისპირა თუ კავკასიელი გლეხები“** (ანდრეას კაპლერი, **„რუსეთი საკუთარი ისტორიის ტყვეობაში რჩება“**, თარგმანი გერმანულიდან პროფესორ ნ. მუშკუდიანისა, გაზეთი „PS“, იანვარ-თებერვალი, 1996 წ.). ვინც კი ჩაუფიქრდება გერმანელი პროფესორის აქ მოყვანილ მოსაზრებას და გაიხსენებს, თუ როგორ მოქმედებდნენ ანგლოსაქსები თავიანთ კოლონიებში, ის ჯანსაღად გაიაზრებს ქართველების რუსებთან ერთად ყოფნის ორი საუკუნის ისტორიას ყველა თავის განზომილებაში.

გადავხედოთ ისტორიას, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება ქართველებით დასახლებული მიწები მე-18 საუკუნის ბოლოს: ეს იყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის ცალკე სამეფოები; გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, ასევე, ცალ-ცალკე არსებული სამთავროები; თავადური სეპარატიზმით, ირანულ-თურქული აგრესიით და ლეკიანობით გაწამებული ქვეყანა; უცხო არ იყო ქართველთაშორისი ომებიც – სამეგრელო-გურიის, სამეგრელო-იმერეთის და ა.შ. შერკინებები. ყველაფერ ამას ემატებოდა ისეთი მახინჯი და ველური, ერის შემარცხვენელი მოვლენა, როგორიც იყო ქართველი გოგო-ბიჭების ცხვრებივით ყიდვა-გაყიდვა თურქეთის ბაზარზე (გაიხსენეთ კინოფილმი **„მამლუქი“**). ისიც გავიხსენოთ, რომ იმ დროისათვის, რუსეთთან მიერთების წინ, ძირძველი ქართული მიწები – აჭარა-ბათუმის მხარე, ფოთი, სამცხე-ჯავახეთი და სხვები თურქების მიერ იყო მიტაცებული და თანაც სულიერად და ხორციელად გათურქებული, უკვე ასიმილირებული. მაშინდელი საქართველოს მოსახლეობა ნახევარ მილიონს ოდნავ თუ აღემატებოდა.

უცილობელი ფაქტია, რომ გაფანტული ქართული მიწების მოკრებას და ერთ მთლიან ეკონომიკურ, სულიერ-კულტურულ და ადმინისტრაციულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას რუსეთმა მე-19 საუკუნის მთელი 80 წელი მოანდომა. ხაზგასმით გეთანხმებით, ოპონენტებო, რომ ყოველივე ამას მეფის რუსეთი თავისი იმპერიული მიზნებისთვის აკეთებდა და არა ქართველთა სიყვარულით, მაგრამ ობიექტურად ქართველთა საქმეც ხომ გაკეთდა? თურქების წინააღმდეგ წარმოებულ ომებში რუსებთან ერთად ქართველების სისხლიც დაიღვარა, შედეგად კი ქართული მიწების ერთად თავმოყრა მივიღეთ; თურქული ასიმილაციისგან ქართველთა დიდი ნაწილი გადავარჩინეთ. დიდი სისხლის ფასად დაუჯდა რუსეთს ამ მისიის შესრულება. ხომ ისტორიული ფაქტია ყოველივე ეს? სწორედ ეს არის ისტორიული მეხსიერება, რომელსაც რუსეთი და მასთან ერთად საქართველოც ვერ დაივიწყებს.

არავინ იფიქროს, რომ რუსეთი სისხლით მოპოვებულს იოლად დათმობს და ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და, გნებავთ, უკრაინულ მიწებს გათავხედებულ ნატოელებს სამხედრო ბაზების მოსაწყობად დაუთმობს.

რუსეთი აუცილებლად მიმართავს კონტრზომებს, როცა მის ინტერესებს საფრთხე დაემუქრება; აკი, მიმართა კიდეც და საქართველოს ვაიხელმძღვანელობის 2008 წლის აგვისტოს ავანტიურისტულ სიბრმავეს აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონების და კიდევ ახალი მიწების ფაქტობრივი მიტაცებით უპასუხა; მ. სააკაშვილი ორივე ყურით ხელში ჩაიჭირა, გეოპოლიტიკური კანონზომიერებით იმოქმედა; ამერიკის შეერთებულ შტატებს განუცხადა: თქვენს ნატოს აქ არაფერი ესაქმება.

ისტორიულ მეხსიერებას პატივი რომ უნდა მივაგოთ, ეს ჭეშმარიტება ავადსახსენებელმა გორბაჩოვმაც კი შეგვახსენა ამ 12 წლის წინათ, როცა გვითხრა: **„... რუკას შეხედეთ, ისტორიამ ვერაფერი გასწავლათ?.. სიკეთის მეტი რუსეთს თქვენთვის არაფერი გაუკეთებია, რატომ ხართ უმადურები? გადახედეთ ისტორიას და ნახავთ, რაც მოგელით“** (გაზ. **„კვირის პალიტრა“, №**26, ივნისი 1997წ.). აქ ნამდვილად ვერ შევედავებით; მისი თქმული სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

გორბაჩოვის თქმისა არ იყოს, ისტორიას მართლაც უნდა გადავხედოთ: ქურთებს, ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვან ერს, რუსეთის მსგავსი კოლონიზატორი რომ გასჩენოდათ, თურქი ასიმილატორების ბატონობის ქვეშ დღემდე აღარ დაიტანჯებოდნენ და თავიანთი სახელმწიფოებრიობა ექნებოდათ, როგორც, მაგალითად, სომხებს, რომლებიც ამას დღეს რუსეთს უმადლიან, ისტორიულ მეხსიერებას არ ივიწყებენ და მოგებულიც რჩებიან.

მე-19 საუკუნის შუახანებში რუსეთის ქვეშევრდომობაში არსებულ საქართველოში მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი აქტიურად მონაწილეობს ქართული თეატრის აღორძინებაში; ეხმარება გიორგი ერისთავს თეატრალური დადგმების მატერიალურ უზრუნველყოფაში. ბევრ სხვა ქართულ საქმესაც მხარს უჭერს, კერძოდ, ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემას. ყოველივე ამისთვის მოგვიანებით მიხეილ ვორონცოვი აკაკი წერეთლის ქებას იმსახურებს, რომელმაც მას პოემაც კი მიუძღვნა. მოგვიანებით, 70-იანი წლების დასაწყისში, იაკობ გოგებაშვილის **„დედა ენა“** იბადება; ქართველ ხალხს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ქართულენოვანი შემოქმედება ემსახურება.

ანტირუსული ბაცილით შეპყრობილ ნათაძეებს, წიკლაურებს, თარგამაძეებს და ა.შ. ვეკითხებით: ბატონებო, ახლა თქვენ თვითონ ბრძანეთ, იმავე მე-19 საუკუნის შუა ხანებში როგორ პირობებში ცხოვრობდა და საქმიანობდა ჯერ კიდევ თურქეთის გამგებლობაში მყოფი აჭარა-ბათუმის მხარის ქართველობა. ჰქონდათ მათ ქართული თეატრი, ქართული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და ა.შ.? თქვენ იძულებული იქნებით, აღიაროთ, რომ თურქეთის ხელში დარჩენილ ქართველობას წართმეული ჰქონდა ქართული გვარ-სახელები, ქართული ენა და თვით სხეულის ნაწილიც კი, როგორც იძულებით გამაჰმადიანებულებს. უცილობელი ფაქტია, რასაც ვერ გააყალბებთ!

როგორ გაიხარა დიდმა ილიამ, მთელმა ქართველობამ, როცა 1877-78 წლების ომში რუსი და ქართველი მეომრების ერთობლივი ძალებით აჭარა-ბათუმის მხარე დავიბრუნეთ. სულ მალე აღნიშნული მხარის ქართველობა შეუფერხებლად ეზიარა იაკობის **„დედა ენას“**, ილიასა და აკაკის შემოქმედებას; გავრცელდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვა. ყოველივე ეს ისტორიული მეხსიერებაა, მემკვიდრეობა და დავიწყებას არ ექვემდებარება!

მიუხედავად ყველა წყენისა, რაც რუსეთმა მოგვაყენა, მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, უმეტესი ბრალი ჩვენი გეოპოლიტიკური სიბრმავის გამო ჩვენ თვითონ მიგვიძღვის მის უსაფუძვლო, უტაქტო და წინდაუხედავ გაღიზიანებაში, ჩვენ მაინც მასთან უნდა ვეძებოთ საერთო ენა, თანამშრომლობა და კეთილმეზობლობა.

გივი გურეშიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი
ნუგზარ ავალიანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი

ამერიკული ალიყურის ისტორია ანუ მონა...

როდესაც ამერიკული რეჟიმი ამა თუ იმ ქვეყანაში შედის, ის ოთხი უმთავრესი ბერკეტით ზემოქმედებს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე; ესენია:

1) ხელისუფლება, რომელიც მას მოჰყავს;

2) ცრუ ოპოზიცია, რომელსაც, აგრეთვე, თვითონ ქმნის იმისათვის, რომ არ შეიქმნას ნამდვილი ოპოზიცია;

3) ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მთლიანად (უკლებლივ ყველა) აშშ-დან ფინანსდება და მათ სამსახურში დგას;

4) მედიასაშუალებები, რომლებიც, ასევე, ამერიკული კანონებით იქმნება და მთლიანად მათი ინტერესების გამტარებლებია!!!

ზემოთ ჩამოთვლილი ახალი **„დემოკრატიული „მცნებანი“** იმდენად შეისისხლხორცა ქართული საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა, რომ ამ **„მცნებათა“** არ აღსრულება ვერ წარმოუდგენია!

სადაც ამერიკის სახელმწიფო ვერ ახერხებს ამ „მცნებების“ სრულად რეალიზაციას, იქ ან ატომურ ბომს აგდებს (იაპონია), ან მთლიანად შლის სახელმწიფოს (იუგოსლავია), ან „დემოკრატიის სიმწირის“ ეგიდით შედის ქვეყნებში (ავღანეთი, ერაყი, ვიეტნამი) და მუსრავს იქაურობას!!!

ამ ბოლო დროს ქართულ ცნობიერებაში (არ ვიცი აღზრდისა თუ ზედმეტი სტუმართმოყვარეობის გამო) დამკვიდრდა მოსაზრება, რომ სტუმარზე (მათ შორის იარაღითა და საკუთარი ინტერესებით მოსულზე) აუგი არ უნდა თქვა და ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ამერიკელებს ეხება!

საქართველოს უკლებლივ ყველა მედიასაშუალება, განსაკუთრებული მონდომებითა და სიხარულით აშუქებს იმ ფაქტებს, როცა ამერიკელები ამა თუ იმ სამხედრო ბაზაზე ჩვენს ჯარისკაცებს ინსტრუქტაჟს უტარებენ და ეს მაშინ, როცა უმაღლესი სამხედრო ჩინისა თუ სწავლების საკუთარი ოფიცრები ქუჩაში ჰყავს გამოყრილი ამ ხელისუფლებას!

ეს ხელისუფლება სხვა უამრავ **„სიკეთეთაგან“** იმასაც **„ახერხებს“**, რომ ჩვენთან ამერიკიდან მოვლენილ ოფიცრებზე არათუ აუგი, არამედ **„სულ პატარა, უმნიშვნელო ინფორმაციაც არ გავიდეს“** და ცდილობს მათი რეალური მიზნები და სახე საგულდაგულოდ დაუმალოს საზოგადოებას.

შემოდგომის ერთ წყნარ საღამოს თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, სასტუმრო „ვარაზში“, ანუ იქ, სადაც ამერიკელი ოფიცრები ცხოვრობენ, სრულიად აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა! რამდენიმე წუთში საპატრულო პოლიციამ მოძრაობა გადაკეტა, სასტუმრო „ვარაზის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ქართული სპეცსამსახურების თანამშრომელთა 200-კაციანი ბრიგადა ჩააყენა, მათ შორის სამხედრო პოლიცია, და ცნობისმოყვარე თბილისელებს პერიმეტრზე გავლაც კი აუკრძალა!

მაინც რა მოხდა სასტუმრო „ვარაზში“:

სამი მთვრალი ამერიკელი ოფიცერი სასტუმროს ფოიეშიც გამომწვევად იქცეოდნენ, მაგრამ სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, როცა 2 ქართველმა ახალგაზრდამ მათ დაწყნარებისკენ მოუწოდა! ამერიკელმა, „ხელის გულზე ტარებას მიჩვეულმა სამხედრო ოფიცრებმა“ სანაცვლოდ, „ეს მონა ზანგები“ რეებს გვიბედავენო, არც აციეს, არც აცხელეს და ჩვენი ბიჭები წიხლქვეშ გაიგდეს! ერთ-ერთმა ოფიცერმა ქართველ მამაკაცს თავში ბოთლიც უთავაზა მეტი მორჩილებისათვის. ამ ისტორიაში ყველაზე ამაზრზენი და აღმაშფოთებელი ის იყო, რომ სასტუმრო „ვარაზის“ ადმინისტრაციის მიერ გამოძახებულმა საპატრულო პოლიციელებმაც ვერ დააოკა ამერიკელი ინსტრუქტორ-ოფიცრები და ერთი ორი ლაზათიანი ჭიტლაყი მათაც მოხვდათ! მოგვიანებით საპატრულო პოლიცია იძულებული გახდა „უფრო მეტი გავლენისა და წონის“ პატრონებისთვის გადაერეკათ, რადგან ნავარჯიშებ, კუნთმაგარ და აბსოლუტურად უკონტროლო 3 ამერიკელს ვერანაირად ვერ აოკებდნენ! დაახლოვებით 5 წუთში 20-მდე საპატრულო მანქანა თავისი ეკიპაჟებით შემთხვევის (თუ დანაშაულის ჩადენის) ადგილზე გაჩნდა, მაგრამ, ვიდრე ამერიკის საელჩოს თანამშრომლები არ მოცვივდნენ, „იანკი ოფიცრობა“ ვერ დააოკეს!

ჩვენი ნაქები, გაზულუქებული და ხელისუფლების მიერ **„ნაპატიები“** საპატრულო პოლიციელებიც კი ვერ მალავდნენ აღშფოთებას ამერიკელი ოფიცრების საქციელის გამო და ჩუმად იგინებოდნენ!

ორი ნაცემი ქართველი ახალგაზრდა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, საავადმყოფოში კი არ წაიყვანეს, არამედ პოლიციაში და შემდეგ რა ბედი ეწია მათ, ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს!

აგრეთვე, არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მიზეზით **„გააქრო“** ხელისუფლებამ ინტერნეტით გავრცელებული ეს **„ნიუსი“**, თუმცა, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის რატომაც...

საინტერესო კი ამ ყველაფერში ის არის, რა განცხადება გააკეთა მომხდარის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრიფინგზე:

„არა მგონია, რომ მომხდარი ფაქტის გამო აუცილებელი იყოს, საქმის კურსში ჩავაყენოთ ამერიკული დიპლომატიური სამსახურები. ადამიანებს შორის ხანდახან ხდება ჩხუბი და თანაც, ეს იმ დროს, როცა სამუშაო საათები ამოწურულია. თუკი ჩვენი მეგობარი ქვეყანა (აშშ) მოგვცემს ინფორმაციას (დავალებას, ი.გ.) და მოითხოვს ჩვენგან რეაქციას ამ ფაქტის გარშემო, რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გავერკვევით მომხდარში და შესაბამის კომენტარსაც გავაკეთებთ. ამ ეტაპზე კი ვთვლით, რომ ამ ფაქტის გამო სკანდალის „გაკეთება“ საჭირო არ არის!“

ვაი თქვენს პატრონს! ეს რომ რუს სამხედროებს ჩაედინათ, ხომ ატეხავდით უბადრუკ ჟივჟივს, რუსებმა ქართველები სიკვდილის პირამდე მიიყვანეს, ისე სცემესო? რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის, ვისი ფეხსაცმელი (შიგადაშიგ ბოთლი) მოხვდება თავ-პირში? და ეს მაშინ, როცა ლოთი ამერიკელების მიერ ნაცემი ქართველების დასაცავად გამვლელ-გამომვლელებიც კი არ მიუშვა საპატრულო პოლიციამ?

ამერიკელმა ოფიცრებმა ავღანეთში განსახორციელებელი სამხედრო სწავლების ერთ-ერთი პუნქტი აქ, თბილისში, კოდური სათაურით „დაუყოვნებლივი პასუხი“ უკვე განახორციელეს, მაგრამ, ნება იბოძეთ, და გაგვარკვიეთ, ეს ფაქტი ქართულმა არხებმა რატომ დამალეს თქვენივე ბრძანებით და რატომ არ შეიძლება „ამ ამბავზე „სკანდალის გაკეთება“?

ძვირფასო თანამემამულენო! დღეს საქართველოში ამერიკელი სამხედროების მხოლოდ უმნიშვნელო კონტიგენტია წარმოდგენილი, მაგრამ თუკი ჩვენთან, ადგილობრივი მონების მოთხოვნით, ამერიკული ბაზებიც გაიხსნა, მერე ვნახოთ, რა ცოდვის კალოს დაგვიტრიალებენ **„დემოკრატიის დედ-მამები“** აქ, ჩვენივე სახლებსა თუ ქუჩებში!!!

ერთი წუთით წარმოგიდგენიათ, რომელიმე ქართველ მოქალაქეს და მით უფრო სამხედროს იგივე რომ ჩაედინა ამერიკაში, რა ამბავი ატყდებოდა? ანდა, რა ამბავს ატეხდა თქვენი მეგობარი ამერიკა, ვენაში რომ ავღანელ პატიმრებს ამერიკელები ეცემათ ხელკეტებითა და საწოლიდან ამოგლეჯილი რკინებით?

ეტყობა, დაგავიწყდათ! გალეშილმა დიპლომატმა აქ, თბილისში, ქართველი ბავშვი რომ გაიტანა დიპკორპუსის ავტომობილით და თქვენ, **„მეტი უხერხულობის თავიდან აცილების“** მიზეზით, ამ დანაშაულსაც რომ **„უბედური შემთხვევა“** დაარქვით, თორემ ამერიკელებმა რომ ჩვენი დიპლომატი გიგა მახარაძე **„შეაგდეს“** ციხეში, წარბ-წამწამიც კი არ შეტოკებიათ და ისე ახეხინეს რამდენიმე წელი იქ, არც უკითხავთ, საქართველოს ხელისუფალთ გეწყინებოდათ თუ არა ეს!

ჭირმა მიჩვევა და მომრავლება იცის! სასტუმრო „ვარაზის“ ფოიე და წინამდებარე ასფალტი იყო მორწყული ორი უდანაშაულო ქართველის სისხლით, ხვალ ავღანეთში გარეკილი ქართველი ბიჭების სისხლით მოირწყვება ავღანური ქვიშა, ზეგ? ზეგ, ალბათ, აღარ იქნება, რადგან წინ წყალი გვაქვს, უკან – მეწყერი და ე. წ. „დემოკრატიის“ ჭაობი, რომელიც ნელ-ნელა გვიწოვს, თავისკენ გვიზიდავს და „გულში გვიხუტებს“.

ფუი, ასეთ ქვეყანას, ფუი, ასეთ ქართველობას, რომელიც მონობის უღელს **„შოუ-შოუ“**, სიმღერ-სიმღერით იდგამს!

ირინა გოგოსაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?

დასაბამიდან მოყოლებული ადამიანის განვითარებას, მათს ცხოვრების დონეს მუდამ მოწინავე ნაწილი განსაზღვრავდა. ნებისმიერი დარგის მეცნიერება, რომელიც ამ საქმეს არ ემსახურება, ბოროტების მსახურია, მაგრამ პროდუქტი, რომლის უშუალო შემქმნელმა შეგნებულად და სრულყოფილად არ იცის პროდუქციის თვისებები და დანიშნულება, ზედაპირული დაკვირვებით გადმოტანილი, კარნახითა და მითითებით შექმნილი, შეუძლებელია მაღალხარისხოვანი და სრულყოფილი იყოს.

ცხადია, ბუნებაზე დაკვირვება, მის კანონზომიერებებში სიღრმისეული წვდომა და ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებანი, ისტორია და ფილოლოგია, რამდენადაც წარმოადგენენ საზოგადოების სულიერ საკვებს, განსაზღვრავენ მის სულიერ დონეს, ხოლო საზოგადოების მიერ ბუნებრივი (დვთიური) კანონზომიერებების ცოდნა და განვითარების სულიერი დონე კი – ქვეყნის ძლიერებას და სიმტკიცეს.

მართალია. მდიდარია ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ნებისმიერ მაღალგანვითარებულ ერს დაამშვენებდა პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი, ვაჟა ფშაველა და ბევრი სხვა, მაგრამ ქართველი ერის ისტორიაა სამარცხვინოდ გაყალბებული. ქართველმა კაცმა მტკიცედ არ იცის თავისი წარმომავლობა, არ იცის რას ნიშნავს ეთნიკური სახელწოდებანი იბერი, ქართი, მეგრელი, ლაზი, სვანი და ა.შ. და საიდან წარმოსდგნენ ისინი; არ იცის რა როლი ეკუთვნის მის წინაპარს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, რამ დაგვანგრია და რამ დაგვცა ღღევანდელ ტრაგიკულ მდგომარეობამდე და მაინც, ავად თუ კარგად, რამ მოგვიყვანა ღღემდე კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე ერი, როცა ბევრი, უმცროსი ასაკისა, განისვენებს ისტორიის სასაფლაოზე.

ამ პრობლემით, ამასთან, შემეცნებით დაინტერესებულმა და ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებით გაოგნებულმა რამდენჯერმე მივმართე ჩვენს ცნობილ მეცნიერებს, შემდეგ ცალკე ღია წერილით მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს ბ-ნ თამაზ გამყრელიძეს, გამოვთქვი კრიტიკული აზრიც, პრესაში გამოქვეყნებული წერილები მაგიდაზე დავუდე მდივნებს ადრესატებისადმი გადასაცემად, მაგრამ არავითარი გამოხმაურება ვერ ვპოვე, თითქოს ყველა დაყრუვდა და დამუნჯდა.

იქნებ ყურად იღეს ჩემი წუხილი და დამშვიდებულნი, ცივი გონებით, აუჩქარებლად ცდილობენ ხარვეზების გამოსწორებას, ან იქნებ ჩემი წუხილის პასუხია ნახევრად ნატყეარი **„ქართლის ცხოვრების“** უკომენტარო ახალი გამოცემა, რომელსაც ეროვნულ საუნჯეს უწოდებს პროფ. ნ. ლომოური და რომელიც უფრო სომეხი ერის ამბიციურ ინტერესებს ემსახურება, ვიდრე ჩვენს ეროვნულს.

ეროვნულ-პრობლემური საკითხებით ჩვენი დაინტერესება არ მოსწონს ზოგ ჩვენს მეცნიერს, რომელსაც თავი ერის მამად და ჭირისუფლად მოაქვს და ხშირად მესვრიან რეპლიკას, ყველამ თავისი საქმე აკეთოსო, თითქოსდა, **„თავის საქმეს“** თვითონ აბსოლუტურად სრულყოფილად, უხარვეზოდ აკეთებდენ, სამეცნიერო ტიტულები ყველას დამსახურებულად, ღირსეულად ეძლეოდეს და თუ მკვლევარს მეცნიერული ტიტულები არა აქვს, არაფრად აგდებს მის დვთით ბოძებულ ნიჭს, ზევიდან დაჰყურებს უნდობლად. მაგრამ ის, რასაც მე სამეცნიერო ხარისხის არმქონე, დამოუკიდებელი მკვლევარი ვწვდები რამდენად ჭეშმარიტია და ღირებული, დაინტერესებული მკითხველი საზოგადოების განსასჯელია და ჩემს ღრმა რწმენას მათს მნიშნელობასა და ჭეშმარიტებაზე, ვერ შეარყევს ტიტულოვან მეცნიერთა უყურადღებობა და ქედმაღლობა, მიუხედავად იმისა, უშეცდომო არავინაა. ხოლო ასეთი გულგრილობა და ქედმაღლობა რამდენად წაადგება საერთო ეროვნულ საქმეს და თვით მათ პირად ავტორიტეტს, მომავალი მოაზროვნე თაობა განსჯის. მაგრამ, როცა ვერ მაკმაყოფილებს გაბატონებული შეხედულებები და დოგმები, მოსწონთ თუ არა პატივცემულ მეცნიერებს, შეცდომის შიშით, გულხელდაკრეფილი ვერ ვიქნები, რამდენადაც ჩემი საქმე არ იყოს და აკადემიურ დონეზე ვერ შევძლო მისი დამუშავება.

ამჯერად ჩვენს წინაშე დგას პრობლემა: გასარკვევია, ვინ იყვნენ კავკასიის იბერები და რა ენაზე მეტყველებდნენ ისინი.

ქართველი მეცნიერები თვლიან, რომ **იბერები** იგივე **ქართები** იყვნენ: **„მესხეთი კოლხეთისა და იბერიის შუა ზოლზე მდებარეობს. ადრეულ საუკუნეებში დაიწყო ამ მხარის ქართიზაცია (გაქართება), იბერიის ძლიერი ზეგავლენით“** (შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, 1982, გვ 24) ე.ი. შოთა ძიძიგურის შეხედულებით **იბერი** და **ქართი** ერთიდაიგივეა, წინააღმდეგ შემთხვევაში, **“იბერიის ძლიერი ზეგავლენით“** მოხდებოდა იბერიზაცია და არა ქართიზაცია.

„ელინისტურ ხანაში სასპერ-იბერების სამეფომ დიდი მიწაწყალი დაკარგა სამხრეთისკენ და, ბოლოს, ამიერკავკასიის საზღვრებში მოემწყვდა. სამხრეთის რაიონების დაკარგვას ის მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა, რომ სახელმწიფოებრივმა და კულტურულმა ცენტრებმა ერთხელ კიდევ გადმოინაცვლეს ჩრდილოეთისკენ, მტკვრის აუზში. იბერიის ანუ ქართლის სამეფოს დედაქალაქად მცხეთა იქცა“ (ნ. ბერძენიშვილი ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია I, 1946, გვ. 62) ადრე ივანე ჯავახიშვილი წერდა: **„ქართველებს ენათმეცნიერება სამ უმთავრეს შტოდ ყოფს: ერთ შტოს ქართულად მოსაუბრენი შეადგენენ (ქართლელნი, კახელნი, ფშავ-ხევსურნი, მესხები, აწინდელი იმერლები და გურულები); მეორეს იბერიელნი ეკუთვნიან, ანუ მეგრელ-ჭან-ლაზები; ხოლო მესამეს სვანები (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1908, გვ 19) სრული შეუსაბამობაა იბერები ხან მეგრელ-ჭანებია, ხან ქართები”.**

უმარტივეს ლოგიკაშიც ვერ თავსდება ის აზრი, რომ ქართები და იბერები ეთნიკურად ერთიდაიგივე იყო, თორემ, როგორც ქართველი მეცნიერები თვლიან, მათი ენობრივი სხვაობა მხოლოდ კილოკავურით განსაზღვრულიყო, ერთიანობა არ დაირღვეოდა და ქართლელები არ გამოეყოფოდნენ იბერებს და არ შექმნიდნენ **„არმაზის სეპარატისტულ სახელმწიფოს“** (იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, **“როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ”**, მნათობი, 1948, №8)

საჭიროდ არ მიგვაჩია იმის განმეორებით ექსკურსირება, რაზეც მრავალი ბერძნულ-რომაული წყარო მოგვითხრობს იბერებზე, რადგან ეს აკადემიურ დონეზე აქვს განხილული აკად. შოთა ძიძიგურს (იხ. მისი **ბასკები და ქართველები**, 1982, გვ 5-69). მაგრამ აღსანიშნავია, რომ უცხოური წყაროები საერთოდ არ იცნობენ ქართებს და ქართლს, ხოლო ქართები, პირიქით, მიუხედავად იმისა, ბრწყინვალედ იციან იბერებზე ყველაფერი, მათზე ერთ სიტყვასაც არ იმეტებენ. აქ უპრიანია მოვიყვანოთ შ. ძიძიგურის ვრცელი ციტატა:

„როგორც ვიცით, ბერძენ-რომაელთა ისტორიკოსები ან, საზოგადოდ, უცხოელი მემატიანენი და მწერლები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მარტო იბერთა სამეფოს იცნობენ, იბერთა მეფეებს იხსენიებენ, ხოლო ქართლის სამეფო, სახელი ქართლი და საქართველო მათთვის უცნობია. მეორე მხრივ, საქართველოს თუ ქართლის ისტორიკოსთა თხზულებებში სიტყვა იბერია (ანუ იბერნი) არ იხსენიება”...

რით უნდა აიხსნებოდეს ეს გარემოება?

“...წამოყენებულია დებულება, რომ, ისევე როგორც დასავლეთი საქართველო სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქართული ეთნონიმის სახელით იყო ცნობილი (ეგრისი, კოლხეთი, ლაზიკა ...), **აღმოსავლეთ საქართველოში ქართლს წინ უსწრებდა იბერია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართების ტომის გაბატონებამდე იბერთა ტომი იყო ჰეგემონი აღმოსავლეთ საქართველოში. აქედან გამოდის, რომ იბერია-ქართლი** (შესაბამისად-იბერნი, ქართები, resp. ქართლელნი) **სინონიმებად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ისინი სხვადასხვა ქართველი ტომების სახელწოდებებია“** (შ. ძიძიგური, 1982, გვ 12-12). ან კიდევ, **„არ შეიძლება არ გაეწიოს ანგარიში შემდგომს გარემოებას: ქართველი მემატიანენი არ ახსენებენ ტერმინს – იბერია, იბერები, მაშინ როდესაც მათ კარგად იციან, რომ ბერძნულ წყაროებში ეს სახელწოდებებია გაბატონებული. ქართველი ისტორიკოსები შეგნებულად გვერდს უვლიან ამ ტერმინებს და ახსენებენ მხოლოდ და მხოლოდ ქართლს, რომელიც გამარჯვებული ეთნიკური ერთეულის სამყაროს აღმნიშვნელია...”**

როგორც არ უნდა გავიგოთ ეთნონიმების – იბერებისა და ქართების (ქართლელების), შესაბამისად **იბერიის** და **ქართლის** ურთიერთმიმართება, ცხადი ის გახლავთ, რომ ქართლს, ჩამოყალიბების შემდეგაც ბერძენ-რომაული ავტორები აღმოსავლეთ საქართველოს ისევ და ისევ **იბერიად** მოიხსენიებენ. **„ქართლის პიტიახშის“** წოდებულებაც ბერძნულად ითარგმნებოდა: **„პიტაქსეს იბერონ“** (სომხურად – **„ბდეშხ ვრაც“**) (ეთნონიმმა **იბერი** სომხურში შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა: **იბერაც-ივერაც-ივრაც-ვრაც**, კ.ფ.).

მეცნიერებაში არსებობს ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ღრმა ისტორიულ წარსულში “**იბერი დასავლეთ საქართველოდან შემოსული ტერმინია“** (შ. ძიძიგური, 1982, გვ 15-16). ამ აზრის იყვნენ ა. ცაგარელი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე. ალბათ ისინი ეყრნობოდნენ გელასი კესარიელის (IV ს), რუფინუსის (IV-V სს) და სოკრატე სქოლასტიკოსის (IV-V სს) ცნობებს, რომლებიც **იბერებს** პონტოს მხარეში მოიხსენიებენ.

იბერებზე უფრო ადრე საუბრობენ პლატონი და არისტოტელე.

ქართველ მეცნიერთაგან, როგორც აღვნიშნეთ, ამ პრობლემას შეეხნენ ალ. ცაგარელი, ნიკო მარი, იოსებ ყიფშიძე, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილმა 1948 წელს საგანგებო სტატია მიუძღვნა, მაგრამ ქართველი მეცნიერები მათ შრომებს მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტებით კი არ გამოეხმაურნენ, არამედ ალ. ცაგარელს, უნიჭიერეს ენათმეცნიერს, საერთოდ აუკრძალეს საენათმეცნიერო საკითხებზე მუშაობა, ნიკო მარი საქართველოდან გადახვეწეს, იოსებ ყიფშიძეს, ამ უპატიოსნეს მეცნიერს, 34 წლისას მოუსწრაფეს სიცოცხლე და გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ექვთიმე თაყაიშვილის სტატია (როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ) ჟურნალიდან ამოხიეს, შემდეგ ეს უწმინდესი მამულიშვილი მხოლოდ 48 ჭირისუფალმა გააცილა მთაწმინდაზე. ამ სამარცხვინო საქციელს ღღევანდელი მეცნიერები კომუნისტურ ხელისუფლებას აბრალებენ, მაგრამ აქაც შეუსაბამობაა, მთაწმინდის პანთეონზე დაკრძალვის ნებადამრთველი ხელისუფლება ვერ აუკრძალავდა ხალხს გაცილებას და ვერ ამოხევდა ჟურნალიდან მის სტატიას, თუმცა იბერიის და ე.წ. მეგრელების იგივეობა, მისი სახელოვანი ისტორიის წარმოჩენა იმპერიისა და სომხების ინტერესებში არ შედიოდა.

იბერთა არსებობის წაშლასა და დავიწყებაზე მიზანმიმართული მუშაობა ქართლის მიერ **სამეფოს** სტატუსის მოპოვების შემდეგ დაიწყო გიორგი მთაწმინდელით. იგი ყველგან **იბერთა** ადგილზე ქართველს იხსენიებდა. ესპანეთის იბერებსაც ქართველებად ასახელებდა (**„დასავლეთის ქართველები“**), აპენინის კელტ-იბერებს-კელტ-ქართველებად. მოგვიანებით დიდი ივ. ჯავახიშვილიც კი ერთ ადგილას **პეტრე იბერს** პეტრე ქართველად მოიხსენიებს.

წმინდა ექვთიმე თაყაიშვილიც აღნიშნავს, რომ **იბერ** და **ქართ** ტომებს შორის მეტყველებაში მხოლოდ კილოკავური განსხვავება იყოო, ბევრად ნაკლები, ვიდრე ქართველსა და მეგრელ-ჭანებს შორისო, მაგრამ მას ეს შეხედულება იმის გამო შეექმნა, რომ სიღრმისეულად არ იცნობდა ე.წ. მეგრულ ენას. ე.წ. მეგრული ენის სიღრმისეულ ცოდნას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის სრულყოფილი და ჭეშმარიტი ისტორიის შექმნისათვის. ივ. ჯავახიშვილის ტიტანური ნაშრომის, **„ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“** სარედაქციო ნაწილში ვკითხულობთ:

„...ივ. ჯავახიშვილის კვლევა-ძიებაში ენობრივ საკითხებს დიდი ადგილი ეკავა, რადგან ენას სავსებით სამართლიანად ხალხის უძველესი ისტორიის სანდო წყაროდ მიიჩნევდა. ივ. ჯავახიშვილი ენობრივ საკითხს იკვლევდა, როგორც სპეციალისტი ენათმეცნიერი და თავისი მოწაფეებისგანაც მოითხოვდა ისტორიულ მოვლენათა გარკვევისას ენობრივი მონაცემის სათანადოდ გათვალისწინებას“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი X, 1992, გვ. III). ეს გზა, მართლაც, ყველაზე მართებულია, რადგან **„ენის მონაცემები შესაძლებლობას აძლევს ისტორიკოსს ჩაწვდეს დროის ისეთ სიღრმეში, როცა წერის ხელოვნება ჯერ კიდევ არ არსებობდა, ვერავითარი ნივთიერი მტკიცებები ვერ შემოინახა,- აქ ენის ლექსიკას შეუძლია არქეოლოგის ბარი და უძველესი ქრონისტების ცნობები შეცვალოს“** (ა. კონდრატიევი), თანაც, **„ისტორიას ისე ნათლად არ შეუძლია წარმოდგენა შეგვიქმნას იმის შესახებ, თუ როგორ იცვლებოდა ხალხი, მათი სოციალური წყობა, მათი მრწამსი და გრძნობები, როგორც ეს ენის გაანალიზებით არის შესაძლებელი“** (მარტინ ალონსო).

როცა ვმსჯელობთ ე.წ. მეგრული ენის ფენომენზე, მაშინათვე გვისვამენ კითხვას: თუ ოდესმე ზეობდა მეგრული ენა, რატომ არ დარჩა ერთი სიტყვა მაინც სადმე წერილობითი ძეგლი დაწერილი მეგრულ ენაზეო?

როგორც ავღნიშნეთ, ქართველი ისტორიკოსები წარმართული ხანის წერილობითი და მონუმენტური ძეგლების განადგურებას ქრისტიანული მოძღვრების დამკვიდრებას აბრალებენ. უცხოური წყაროები აფიქსირებენ იბერიის გაქრისტიანებას, მაგრამ იბერიის გაქრისტიანების შემდეგდროინდელი ძეგლები, ქართების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ხანამდე და შემდეგდროინდელიც აღგვილი იქნა პირისაგან მიწისა. აქ, რამდენი სურვილიც არ უნდა გვქონდეს ქართლელ ხელისუფალთა გამართლებისა იბერიული მონაპოვრების განადგურებაში, ყოვლად შეუძლებელია. იბერიის დაცემის შემდეგაც მის ნანგრევებზე შექმნილ ლაზთა და შემდგომ აფხაზეთის სამეფოში, უეჭველია, სახელმწიფო ენა იბერიული იყო და განა შეიძლებოდა ლეგენდარულ იბერთა მემკვიდრეებს არაფერი შეექმნათ, ხოლო ქართებს, რომელიც ამოიზარდა იბერიული ფესვებიდან და უხსოვარი დროიდან 523 წლამდე ექვემდებარებოდა იბერიას და 899 წლამდე სამეფოს სტატუსი არ ჰქონია, იბერიის ქვეშევრდომობაში მყოფს, მე-5 საუკუნიდან განევითარებინა სამწერლო მოღვაწეობა, ხოლო უხსოვარი დროიდან გაბატონებულ, თუნდაც, ტომს (ჩვენ **იბერი** კრებით სახელად მიგვაჩნია) სამწერლო-ლიტერატურული მემკვიდრეობა არ ჰქონოდა?

სიკეთისა და ბოროტების გაურჩევლობამ გვიყო, რაც გვჭირს და მაინც გვიკვირს რატომ ვართ ასეთ ყოფაში.

სანამ არ იქნება აღიარებული წინაპართა (იბერიისა და ქართლის ხელისუფალთა) შეცდომები, საშველი არ დაადგება ჩვენს ქვეყანას.

იმაზე მეტი სასირცხვილო რა უნდა გვქონდეს, სანდო ეროვნული ისტორიული წყაროები რომ არაფერი გაგვაჩნია მაშინ, როცა სპარსებისაგან არანაკლებ შევიწროებულ, თუ მეტად არა, მეზობელ სომხებს V საუკუნიდან ჰყავთ ისტორიკოსები (მოვსეს ხორენაცი, ლაზარ ფარპეცი, კორიუნი და სხვები), ხოლო იბერებს არა.

რაშია საქმე? სტრაბონის გადმოცემით ესოდენ აღმატებულ იბერებს მწერლობა და კულტურა არ ჰქონდათ განვითარებული?

გარკვეული არ არის ვახტანგ გორგასლის პიროვნებაც: **„არა ერთხელ გაკეთებულა ცდა ზუსტად განსაზღვრულიყო ვახტანგ გორგასლის ზეობა. ეს ცდები დამყარებულიყო ჯუანშერის მონაცემებზე“** (ნ. ჯანაშია, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ. 1986, გვ 53). **„მისი დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი მემატიანემ არ იცის. მისი ფიზიკური მონაცემები გაზღაპრებულია.**

ვახტანგ გორგასალს იბერთა მეფე გურგენთან აიგივებენ (კ. თუმანოვი). სავარაუდოდ ვახტანგ გორგასალი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 443-503 წლებში“ (იხ. ნ. ჯანაშია. 1986, გვ 53). მისი საქმიანობისა და ცხოვრების პერიოდი ემთხვევა იბერიის მეფე გურგენის საქმიანობას და ცხოვრების პერიოდს, რომელიც აუჯანყდა სპარსეთს.

კუპური ფიფია,
ფაზისის მეცნიერებათა
აკადემიის წევრი.

ავარია ხონი-მარტვილის გზაზე და ნარაზენელი ჭიჭიკო მეწისქვილე!

(მოლდავური გამოცდილებები და საქართველოს „ტაილანდიზაცია“!)

ყველა სოფელს რომ საკუთარი გიჟი ჰყავს კამათი, არ სჭირდება, მაგრამ ჩვენთან რომ უცნაურობებს ყვებიან, დარწმუნებული ვარ, დღემდე არავის სმენია!

ალბათ იკითხავთ – რა გაიგეთ ასეთი გადასარევიო?!

ა, ბატონო, მეც გიპასუხებთ:

– გუშინ საღამოს, ისეთი ავარია მოსვლია ხონიდან მომავალ ჯიპს, შიგ მსხდომ ქალებს ქვედა საცვლები გაძრობიათ!!!

– მთელი მარტვილი ამას ლაპარაკობს, აბა, ეს გადასარევი არ არის???

– რა სისწრაფით უნდა ევლო მანქანას ამ მიხვეულ-მოხვეულებში (თან, იმასაც ამბობენ – საჭესთან ერთი „ნაცმოელი“ მაღალჩინოსნის მეუღლე მჯდარაო!!!), რომ ისეთი ავარია მოეხდინა, დარტყმისგან მას და მის თბილისელ დაქალებს ქვედა საცვლები გაძრობოდათ?!.

– რა იცი ბიჭო შენ, საცვალი გაძვრათ თუ სხვა რამე?

– სხვა რამე იქ არ უპოვიათ... მანქანაში ქალის საცვლები ეყარა, ჩემი თვალით ვნახე პროფილაქტიკაში!..

დაიწყებენ ახლა, ქალი რატომ დაჯდა საჭესთან, თანაც გამოუცდელიო!.. კაცმა რომ თქვას, რა შუაშია აქ გამოუცდელი, საჭესთან მჯდომი ქალი, ყველაფერი უცხოური და სწრაფი მანქანის ბრალია!

ახლა ქალის საცვალს არ იკითხავ? ისეთი ჰაეროვანია, სანამ ხელით არ შეეხები, ვერც შეატყობ ქალს აცვია თუ არა და ამ სისწრაფეში რომ გაძრობოდათ კიდეც, რა გასაკვირია?!.

ამბავიც გადასარევია და მისი **„დაცვის მხარის“** გამამართლებელი არგუმენტებიც!

ჩემო ძვირფასო მკითხველო – არ ვიცი როგორ დამთავრდა ამ საგზაო შემთხვევის გამოძიება, არც ის არის ცნობილი, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაზარალებულ ჯიპში მსხდომ მანდილოსნებს დაუბრუნდათ თუ არა თავიანთი ნივთები, მაგრამ ამ ავტოსაგზაო შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ კიდევ ერთი, აქამდე უცნობი ჭეშმარიტება რომ დაგვანახა:

ამ დამშეულ ქვეყანაში, კუჭგამხმარმა მოსახლეობამ ქამარს რომ უნდა მოუჭიროს – დიდი ხანია ცნობილია! მაგრამ, არანაკლებ აუცილებელი ყოფილა – ნაცმოელი მაძღარი ჩინოვნიკების ცოლებმა და მათმა დაქალებმა, ქვედა საცვლის რეზინებსაც რომ უნდა მიხედონ!

დავანებოთ ამ აღმოჩენას თავი და სხვა, უფრო საინტერესო და საჭირბოროტო საკითხებს მივხედოთ.

ნიფხავგაავარდნილ ქალებს ხომ არ გადავყვებით ახლა – **მათ თავიანთმა ქმრებმა და „ბოიფრენდებმა“ მიხედონ!**

რაღა ამათ გადაეკიდე, ამაზე გადასარევი ამბავი ზუგდიდში მომხდარა – **„ასავალ-დასავალი“** და **„კვირის ქრონიკა“** არ წაგიკითხავს შენ, თორემ, ამას არც გაიხსენებდი!!!

– რა ეწერა ასეთი?

– კახა ლომაია ხომ გახსოვს, განათლების ყოფილი მინისტრი, **„ბავშვის“** ნაცვლად **„ბაშვი“** რომ დაწერა დაფაზე, დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან სტუმრობისას – მისი ბებია, ბორის ლომაიას დედა, ნარაზენელი მეწისქვილე – **„ჭიჭიკო ჭანტურიას ნაბოზარი ყოფილა!“**

– საიდან მოიტანე ეს სიბინძურე! შვილი თუ არ მოგწონს, მამას რას ერჩი, მართლაც, ყველაფერი ხომ არ ითქმის?!.

– შე უწიგნურო, წიგნს თუ ვერ ერევი, გაზეთი მაინც წაიკითხე!

– რა შუაშია ეს?

– იმ შუაშია, რომ, ეს მე კი არ მითქვამს, თვითონ ბორის ლომაია ყვება: **ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში, ომიანობის დროს** (მეორე მსოფლიო ომი იგულისხმება, როცა მართლა მტერი უტევდა ქვეყანას და არა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად ატეხილი ომები – შევარდნაძე და სააკაშვილი, რომ უწყობენ საკუთარ ხალხს! **„ილორი“) ერთი წისქვილი ჰქონდათ. არც მეტი, არც ნაკლები – მეწისქვილე ჭიჭიკო ჭანტურია, მარტო სიმინდს კი არ ფქვავდა, ფრონტზე წასული მეგრელი ვაჟკაცების ცოლების ერთადერთი „ვნების დამცხრობი“ იყო... მათლაფა ფქვილისთვის, მშიერი ქალების რიგი ედგა!..**

– ეს ისტორია გადასარევი კი არა, თავმოსაკლავიც არის, თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს ლომაიას „**წისქვილის**“ შემოგარენის მცხოვრებთ და ჭიჭიკო ჭანტურიას შთამომავლებს, მაგრამ ხმას არავინ ამოიღებს, რადგან – შევარდნაძე-სააკაშვილის და მათი **„ნაცვლების“** მიერ საბოლოოდ ნამუსახდილ სამეგრელოში, კაცი არ დარჩა (მომხვდურს რომ თავი დავანებოთ!) შინაურ მტერს მაინც რომ გასცეს პასუხი!

სამწუხაროდ, მამაკაცის მრუშობა სახელო საქმედ ითვლება დღევანდელ საქართველოში სულიერად მდაბიოთა შორის და ჭანტურიას შთამომავლებს უხარიათო კიდეც, თურმე, უზნეო ბორის ლომაიას მიერ, სინამდვილეში პატიოსანი და მართალი – ჭიჭიკო მეწისქვილეს ლაფში ამოსვრა!

– ვერ გავიგე, მაშინ, ბორის ლომაიას რას ვემართლებით!

– მე არაფერს, თავისი თანასოფლელების, ომში წასული **„ფრონტავიკების“** ცოლები გაათახსირა, ვერ გაიგე? – **„ფრონტზე წასული ნარაზენელი ვაჟკაცების, სახემიბნედილი ცოლები მათლაფა ფქვილისთვის რიგში ედგნენო ჭიჭიკო მეწისქვილეს“!**

– მერე?

– მერე ჟურნალისტი ეკითხება – **„მამაშენი სად იყოო მაშინ?”**

– ბორის ლომაია ამაყად პასუხობს – **„ფრონტზე იყოო მამაჩემი!”**

– მართლაც ასე გამოდის – **„რაღა მაინცდამაინც მარტო ბორის ლომაიას დედას გადაუსვამდა თავზე ხელს და ნამუსს შეუნახავდა ჭიჭიკო მეწისქვილე!“**

სხვისი დედების შეურაცხყოფას საკუთარი დედაც ზედ მიაყოლა და ყველაფერ ამაზე, 75 წელს მიტანებული ბორის ლომაია ყვება!

აფერუმ სამეგრელოვ! – შენ მართლა გაასწარი დროს და გარემოებას!!!

ნაბიჭვარი დეისაძის რა გვიკვირს, 75 წლის ნარაზენელი ბორის ლომაია ხმამაღლა გაჰყვირის – **დედაჩემი მეძავი იყოო და ეამაყება კიდეც!**

ასეთი გარეწარის შვილი, კახა ლომაია, კი წლების მანძილზე განათლების მინისტრი იყო, ამჟამად კი საქართველოს ელჩია გაეროში და მისი იმედი აქვს ქართველ ხალხს!..

– კი მაგრამ, კარგი არაფერი ხდება სამეგრელოში?

– ანაკლია და განმუხური რომ აშენდა და დამშვენდა, ამაზე რატომ არ დაგცდება სიტყვა?

– მერე ვინ გითხრა, რომ ცუდი საქმე გაკეთდა? მე იმას კი არ ვწუნობ რაც გაკეთდა, არამედ, ის მაწუხებს გავიგო – **ვისთვის გაკეთდა?!.**

და, აი რატომ:

სამი გზა გვაქვს ჩვენ მარტვილელებს გარესამყაროსთან საურთიერთობოდ – **ხონი-ქუთაისი, ჩხოროწყუ-წალენჯიხა, აბაშა-სენაკი-ზუგდიდის** მიმართულებით. უამრავჯერ გვივლია ამ გზებზე დღისით თუ ღამით. უამრავჯერ გვინახავს ორსართულიანი სახლების ბეტონის კიბეებზე ამოსული ბალახი, შუშებჩამტვრეული ფანჯრები, გამჭოლი ქარის ნარწევი გამოფიტული კარები და ჩაქცევამდე მისული სახურავები!

ჩემო ჭირ-ვარამის მოზიარეე – **„ავტობანების“** და **„ხუთვარსკვლავიანი“** სასტუმროების არქონის გამო კი არ დაცლილა ოდესდაც აყვავებული კარ-მიდამოები, ისინი ადგილობრივი მოსახლეობის დაუსაქმებლობისა და ეთნიკური კუთხის იავარქმნის გამო გაუკაცრიელდა!

სამეგრელოში ოჯახი არ სუნთქავს აფხაზეთის ტრაგედიის მოუშუშებელი ტკივილის გარეშე, არ არსებობს ოჯახი, ერთნაირად არ გლოვობდეს ქართველთა და აფხაზთა უმოწყალოდ გაწირულ შვილებს და ერთ ტაბაკზე არ გაუშალოს მათ სულის მოსახსენიებელი საკურთხი...

ყველაფერ ამის ფონზე, თუ გიფიქრია, რატომ შენდება ამდენი სასტუმრო იმ ადგილებში, სადაც არასოდეს მივა სტუმარი?

გასაყიდად ამზადებენ კოლხთა ქვეყნას, გასაყიდად!!!

– იყიდება, მაგრამ, რომ შენდება კიდეც, ამას ხომ ვერ უარჰყოფ?

– ვისთვის შენდება მერე?

– მეტად ვერაგული გეგმაა დასახული და თუ ეს დროზე ვერ დავინახეთ, წასულია ჩვენი საქმე ხელიდან. სააკაშვილის **„ექსპერტების“** მსგავსად ჩვენ არც ამერიკული და არც რუსული სპეცსამსახურების სკოლები გვაქვს გავლილი, არც ჰომოსექსუალების და არც ლესბოსელების მომხრეები ვართ, მაგრამ ჩვენი ურყევი მოსაზრება გვაქვს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და იგი სხვებმაც უნდა გაიგონ – ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, ვინ რა გაგვიკეთა, ვინ რას გვპირდება და რა არის მოსალოდნელი.

მაშ ასე, დავიწყოთ:

ბუშმა – **უამრავ საპარლამენტო და სამთავრობო „ნაბუშართან“ ერთად – „ნაბუშარი“ ქუჩაც დაგვიტოვა!**

სულცხონებულმა კაჩინსკიმ – **მის სამშობლოში ჩასული (არა აქვს მნიშვნელობა რა გზით!) ათასობით ჩვენი თანამემამულე ქუჩის მაწანწალა ძაღლებივით გამოგვიყარა. ჩვენ კი, ყველა ქართველისათვის სამშობლოსავით სასიყვარულო „შავი ზღვის“ ქუჩას დავარქვით მისი სახელი!**

ადამკუსის სახელი – **ანაკლიაში გაშენებულ ბულვარს დაარქვეს, არავინ იცის რა დამსახურების გამო! გამოძიებას ვაწარმოებთ!**

მიხაი გინტუ – **ჰოი საკვირველებავ (სააკაშვილის მეგობრებს რა გამოლევს ამ დუნიაზე!), საქართველოს უცხოელ გმირებს შორის ახალი კანდიდატი გამოჩნდა, რომელიც (თუ წარღვნა არ მოხდა და ქვეყანა არ დაინგრა!), მალე ყველა რეკორდს მოხსნის და ყველა – მოწესრიგებულ თუ მოუწესრიგებელ გადასასვლელს, მსხვილი თუ წვრილი სავაჭრო ობიექტების შესასვლელებს, გზაჯვარედინებს, ფულიანი თუ უფულო ხალხის შეკრების ადგილებს მიხაი გინტუს სახელი დაერქმევა!**

ვიცით, სულსწრაფი მკითხველი ბოლომდე არ დაგველოდება და იკითხავს რა დამსახურების გამოო?

ცოტა მოთმინება იქონიეთ და ახლავე მოგიყვებით:

რა არ სცადა საქართველომ შევარდნაძე-სააკაშვილის 18 წლიანი ხელმწიფობის ჟამს – ქვეყნის განვითარების რუსული, ევროპული, ამერიკული გზები, მაგრამ სახარბიელო შედეგი ჯერ არსაიდან ჩანს. ამიტომ გამუდმებით ძიებაშია მისი პირველი კაცი და მთავარსარდალი, ხომ გსმენიათ **„ვინც ეძებს პოულობსო“** და მგონი მიაგნო კიდეც!

ამბობენ – ამ რამდენიმე კვირის წინ დილაუთენია რომ გადმომდგარა მიშიკო ავლაბრის სასახლის გოდოლზე, მის დაცვის უფროსს **„პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ“** შემოუძახია და როცა სახელების ჩამოთვლას შედგომია, ყურებამდე გაღიმებულ მიშიკოს – **„მიხაი გინტუ, მიხაი გინტუ და ტაილანდი, ტაილანდიო!..“** (პრეზიდენტის სახელი დავიწყნია!) შეუძახნია და ქანდარაზე გასულს, სასწრაფოდ მთავრობის სხდომა მოუწვევია, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაუწყია:

– მეგობრებო, ჩვენ, ჩვენი უფროსი ძმების – აშშ-ს და რუსეთის მიერ შემოთავაზებულ გზას არასოდეს ვუღალატებთ, ჩვენ მათი ერთგული დავრჩებით, მაგრამ წუხელის მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ პატარა ქვეყნებს უნდა მივბაძოთ, ისეთებს, როგორებიც მოლდავეთი და ტაილანდია!

პირველ ეტაპზე „მოლდავური მეთოდით“ დავიწყებთ ქვეყნის გარდაქმნას და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნას. მოთმინება არ მყოფნის, ჩემი აღმოჩენა მსოფლიოში უნიკალურია და მას ანალოგი არ გააჩნია, რადგან სამუშაო ადგილები დიდი ხანია შექმნილია, მხოლოდ „მოლდავური გამოცდილების“ დანერგვაა საჭირო და საქართველოს ყველა ასაკის, განათლების, ჯანმრთელი და ავადმყოფი მოსახლეობისთვისაა ხელმისაწვდომი!

ყველა მსურველი უნდა გახდეს ინდმეწარმე და იმ წუთიდანვე შეუძლიათ შეუდგნენ მუშაობას – მოწესრიგებულ თუ მოუწესრიგებელ, შუქნიშნიან თუ უშუქნიშნო გადასასვლელებზე, მსხვილი თუ წვრილი სავაჭრო ობიექტების, ეკლესია-მონასტრების შესასვლელებთან, გზაჯვარედინებზე, ფულიანი თუ უფულო ხალხის შეკრების ადგილებზე, და სადაც კი მოლდავეთიდან მოწვეული, გამოცდილი „ჩაჩანი“ (სამეგრელოში ასე ეძახიან „ცოგნებს“) ინსტრუქტორები გვირჩევენ!

აქედან გამომდინარე, ყველა ზემოთჩამოთვლილ ადგილს, სადაც „მოლდავური მეთოდით დასაქმებული, ხელგაწვდილი ქართველი დასაქმდება“ მოლდავეთის პრეზიდენტისადმი მადლიერების ნიშნად, მისი – მიხაი გინტუს სახელი უნდა დაერქვას! ეს ადგილები კი, მოსახლეობისა და ქვეყნის ბიუჯეტის შევსების მუდმივი წყარო იქნება!

მე ისიც კი გავითვალისწინე, პროექტმა თუ ვერ გაამართლა, (რაც დაუჯერებელია!), **გინტუს მაგივრად „გ...იმპუ“ მაინც დაგვრჩება, რომელიც უდავოდ ჯობია ავისმსურველთა მოგონილ „ნაბუშარს“!**

ამასობაში, აშენდება სასტუმროები, ხიდები, მოშენდება ბუჩქნარი, „მოლდავური მეთოდით“ დასაქმებული და მკლავებდაგრძელებული მოსახლეობა ისწავლის ინგლისურს, გაივლის „შორენას“ და „ნანკას“ კურსებს და ნელ-ნელა გადავალთ ქვეყნის განვითარების „ტაილანდიზაციის“ მოდელზე...

აქ ნამდვილად გაგვაჩნია საკუთარი რესურსები, რომელსაც დიდი ხანია ინახავენ „მამაშვილი – გაბაშვილები“ და მათი „ევრო-ამერიკულ“ სკოლაგავლილი პარტიული კოლეგები. მკითხველი რომ არ დავაბნიოთ, ოთხმოცდაათიან წლებში, როცა „ევრო-ამერიკული“ პროექტის „სექსტურიზმი მცირეწლოვანებთან“ განხორციელება დაიწყო ტაილანდში, „მამა – გაბაშვილი“ დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა ბონში, იქვე შორიახლოს კი სწავლობდა „შვილი – გაბაშვილი“ და თავისუფალ დროს სათადარიგო სპეციალობასაც ეუფლებოდა („ვინ იცის როდის გამოადგესო სამშობლოს!“). როგორც სანდო წყარო გვაუწყებს, ისინი ხშირად სტუმრობდნენ ტაილანდს. დიდი იმედი გვაქვს მათი გამოცდილების და „ტაილანდიზაციის ევრო-ამერიკული“ პროექტი საქართველოშიც წარმატებით განხორციელდება!

ჩვენ ვერ დავადგინეთ ტაილანდის პრეზიდენტის სახელი და გვარი, მაგრამ კაცი გაგზავნილი გვყავს და უთუოა, მას უნდება უნიკალური შანსი – საქართველოში „ტაილანდიზაციის“ პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ყველა ბუჩქნარს, ხის ძირს, კუნძს, მორს და კიდევ უამრავ ადგილს, სადაც – წამოჯდომა, წამოწოლა, ჩაჩუხლვა-ჩაჩოქება და კიდევ – სულის და ხორცის წაწყმედა-წაბილწვა შეიძლება, დაერქვას მისი სახელი და მოხსნას მიხაი გინტუს რეკორდი, რომელიც დიდხანს დარჩება, ქვეყნის განვითარების „მოლდავური მოდელით“ ერთ-ერთ წამყვან ადგილზე საქართველოში!

მე დიდი იმედი მაქვს, ტაილანდის პრეზიდენტი არ გაუშვებს ხელიდან ამ უნიკალურ შანსს, ჩამოვა საქართველოში და დიდ ინვესტიციებსაც ჩამოიტანს!

გიხაროდენ მეგობრებო, გამრავლდით, ისწავლეთ ინგლისური და ჩაერთეთ „მოლდავურ“ და „ტაილანდურ“ პროექტებში!

ეს თქვენ და ჩვენს სამშობლოს დიდ წარმატებებს მოუტანს!

ამის მერე მაინც რას იტყვის ჩვენი, ნასუფრალს მიჩვეული ოპოზიცია?!.“

– ახლა მაინც თუ გაიგე რისთვის აშენებენ **„ხუთვარსკვლავიან“** სასტუმროებს ანაკლიასა და უადგილო ადგილებში?

– ისინი, სწორედ იმ „ტაილანდიზაციის“ პროექტის ნაწილია, რომელსაც ორი ათასი მასწავლებელი მოუმზადებს კადრებს (ინგლისურად მოჭიკჭიკე „გეიშებს“), მიშიკოს თქმით რომ – საკუთარი სურვილით ჩამოდის და უსასყიდლოდ ასწავლის ინგლისურს საქართველოში!

მალე მარტვილშიც ააშენებენ მსგავს **„ხუთვარსკვლავიანებს“**, უსაფრთხო გზებს, რაც ავტოსაგზაო შემთხვევებსაც აგვაცილებს და **„არც ქალების ქვედა საცვლებს დაემუქრებათ გაძრობის“** საფრთხე. თუ იგი მაინც უნდა მოხდეს, ცივილიზებული ფორმით მოხდება და ვერავინ გაიგებს!

ბორის ლომაია და მისი შთამომავლობაც გარანტირებული იქნება – ამიერიდან ვერავინ შეიხედავს წისქვილის ფარღალალა კედლების ღრიჭოებში (**ისე, როგორც, მისივე თქმით, უზნეო ბორის ლომაია აკეთებდა ომიანობისას და ხან მეზობლის ქალების, ხან კიდევ საკუთარი დედის ნამუსის ახდას უჭვრიტინებდა იქიდან!**) და ერთადერთი – **„მიშამაგარიას“** სპეცსამსახურის გარდა, ცხვირს ვერავინ ჩაჰყოფს სხვის უკანალში!

ამ ხუმრობა-ხუმრობაში, ახალი გმირიც იშვა მგონია და იგი უეჭველად, საქართველოს **„ტაილანდიზაციის“** პროექტის უხუცესი წევრი – **75 წლის ბორის ლომაია იქნება!**

– ახლა მაინც თუ გაიგე ვის უშენებენ **„ხუთვარსკვლავიანებს“** ანაკლიაში?

– შენ ისე აკანტურებ თავს, მგონი ბევრი ვერაფერი გაიგე და წადი ახლა სახლში, დროზე დაიძინე, ხვალ ნახირში არ დაგაგვიანდეს!

...ვნახოთ, ბაბუაშენს, ხვალაც ერთ დოქ ოჯალეშს თუ ააფცქვნი, დანარჩენს მერე მოგიყვები!

დავით კიკალიშვილი

P.S. ივლისის პაპანაქებაში, ერთი კვირით შვებულებაში მყოფი, ბანძა-მუხურჩას მიდამოებში, აბაშის წყალზე ჩავედი გასაგრილებლად სადამოჟამს. იქვე, წყლის პი-

გაგრძელება 10-გვ-ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი — ქართველ ერის ისტორია

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.

ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.

იბერიისა და კოლხიდის გარდა მესხეთიც ანუ სამცხეც იყო, მაგრამ პირველ საუკ. ქრ.წ. მათი მიწა-წყალი სტრაბონის სიტყვით რამდენიმე ნაწილად იყო დაქუცმაცებული: ერთი კოლხებსა ჰქონდათ დაპყრობილი, მეორე იბერიელებს, მესამე კიდევ სომხებს (**Georg. Lib, cap**. II, 18).

კოლხიდის ჩრდილოეთით სვანეთი მდებარეობდა, სვანებს ეპყრათ კავკასიის უღელტეხილი დიოსკურიადისაგან მოყოლ;ებული (**id. eid**. XI, **cap**. 19), აღმოსავლეთისა და სამხრეტის საზღვრები ბერძნებისა და რომაელების მწერლებს ნაჩვენები არა აქვთ, მაგრამ უეჭველია სვანები გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ეხლა ცხოვრობენ; პლინიუსი მაგალითად მოგვითხრობს, მდინარე ხობი კავკასიის მთიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის მიწაზე დისო (**Flumen Chobum e Gaucasum per Suanos fluens, Natur, hist. lib.** VI, & 11); ამასვე ამტკიცებს საგეოგრაფიო სახელების დაკვირვებაც, მაგ. **ლეჩ**ხუმი, **ლე**ბაჩილე და სხვა. შემდეგ სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუპყრიათ, ისინი-კი კავკასიის უღელტეხილზე მოუმწყვდევიათ; დაპყრობილ სვანებს მეგრული შეუთვისებიათ; მაშასადამე მეგრელებსა და სვანებს შორისაც ნარევი ტომი უნდა გაჩენილიყო. ამას პტოლემეს ცნობაც ამტკიცებს; თავის გეოგრაფიაში იგი სვამ-კოლხების ტომს ასახელებს (**Geogr. lib** V, **cap.** VIII, 25); ამავე ნარევ ტომს სომხების ისტორიკოსი ფაუსტი ბიზანტიელიც იხსენიებს (III, 7).

კოლხიდის აღმოსავლეთით სტრაბონისა და პტოლემეს სიტყვით იბერია, ანუ ივერია მდებარეობდა. ჩრდილოეთით კავკასიი უღელტეხილი უდარაჯებდა ამ ქვეყანას. იმიერ კავკასიასა და იბერიას ერთმანეთთან ერთი უღელტეხილზე მიმავალი გზა აერთებდა. **"ჯერ სამი დღის სავალი საძნელო გზა არისო,** ამბობს სტრაბონი, **მერე არაგვის ვიწრო ხეობაზე ერთი კაცისთვის ოთხი დღის სავალი გზაა, რომელსაც ბოლოში ციხე უდარაჯებსო"** (**Geogr. hb.** XI, III, 5). ეს გზა ისე ნიშაანდობლივ არის აწერილი, რომ შეუძლებელია ადამიანი ვერ მიხვდეს, რომ სტრაბონს ძველი სამხედრო საქართველოს გზა აქვს მხედველობაში. აღმოსავლეთით იბერიას ალბანია ჰსაზღვრავდა; მომიჯნავე ქვეყანად, როგორც სტრაბონი სწერა, კამბვზენე იყო, იგი ქართულს კამბეჩოანს უდრის (ვახუშტი, ჯანაშვილის გამოც. 155), ხოლო სომხურს **"ქამბეჭან"**-ს (VII ს. სომეხ. უსახელო გეოგრაფია პრ. პატკანოვის გამოც. სომხ. ტექსტის გვ. 17). იბერიიდან ალბანიაში მიმავალი გზა უწყლო და უსწორ-მასწორო კამბეჩოანზე ძევსო (**ib. lib.** XI, **cap**. VI, 5). შესაძლებელია ეს ადგილი ეხლანდელი შირაქის მინდვრები იყოს. კამბეჩოანს დიდი სივრცე ჰქონია და სამადა ყოფილა დანაწილებული: ერთი იბერლებსა სჭერიათ, მეორე ალბანელებს, მესამე კიდევ სომხებს. იბერიის აღმოსავლეთის სამზღვარი პლინიუსს უფრო ნიშანდობლივად აქვს აღნიშნული: "მდინარე მტკვრიდან მოყოლებული (ავტორი კასპის ზღვიდან იწყებს) მთელ მინდვრებზე ალბანელები მოსახლეობენ; შემდეგ-კი იბერიელნი; ალბანელებსა და იბერლებს მდინარე ალაზანო ჰყოფს, რომელიც კავკასიი მთებიდან ჩამოდის და მდინარე მტკვარს ერთვის"-ო, მოგვითხრობს პლინიუსი. (**Natur. hist. lib.** VI, & 26, **Латищевь II**, 181, იქ შეცდომით, **Planitiem omnem a Curo usque Albanorum gens tenet mox Hiberum disereta ab his amne Ocazone in Gurim kaukasiis montibus defluente – ocasone** სწერია **Alazone**-ს ოკაზონე ალაზონეს მაგიერ), მაშასადამე იბერიისა და ალბანიის აღმოსავლეთ სამზღვრად მდ. ალაზანი და კამბეჩოანი ყოფილა. სამხრეთ-აღმოსავლეთით სომხეთიუ იდო; სამხრეთის სამზღვარი არც სტრაბონს, არც პლინიუსს გარკვეულად აღნიშნული არა აქვთ, მხოლოდ პტოლომეს აქვს ნაჩვენები. სანხრეთ-დასავლეთით მესხების ქვეყანა, კოლხიდის ერთი ნაწილი და მცირე სომხეთი იყო. სტრაბონი ამბობს, მტკვარს სათავე სომხეთსი აქვსო (**Geogr. lib.** IX, **cap**. III, 2), მაგრამ ეს სწორედ ის ადგილია, სადაც მტკვრის სათავე იყო; იქნება ეს ადგილი სამცხის სწორედ იმ ნაწილს ეკუთვნოდეს, რომელიც სტრაბონის სიტყვებით სომხებმა დაიპყრეს.

იგივე ავტორი მოგვითხრობს, რომ იბერიას თავდაპირველად გაცილებით უფრო მეტი ადგილი სჭერია: პარიადრის მთები, ხორძინა და გუგარკიც მას ჰკუთნებია. მერე ეს სამივე მაზრა იბერლებს სომხებმა წაართვეს და თავიანთი ენა გაავრცელესო (**idid. lib**. XI, **cap**, 14, 5). ეს ამბავი 191 წლის სემდეგ (ქრ.წ.) მომხდარა, ანტიოქოს დიდის დამარცხების შემდეგ, როცა მისმა ორმა სარდალმა არტაქსიმ და ზარიარდრმა სომხეთი დაიპყრეს და თავიანთ სამფლობელოს გადიდებას შეუდგნენ. პარიადრის ბედიღბალის შესახებ, რამდენადაც ვიცი, არავითარი საისტორიო ცნობები არ მოიპოვება, ხორძინა კი სომხებს შერჩათ და სომხურ მე-VII-ე საუკ. გეოგრაფიის სიტყვით მეოთხე სომხეთის ერთ-ერთ მაზრად ითვლებოდა (იხ. პროფ. პატკანოვის გამოც. სომხ. ტექსტ. გვ. 18), ხოლო გუგარკი იბერლებს თავიანთთვის დაუბრინბიათ; იმავე გეოგრაფიის მოწმობით იგი ქართველებს ეკუთვნოდა. **"გუგარქი უტის მახლობლადა დევს და ცხრა ხეობას შეიცავს, რომელნიც ქართველებს უჭირავთ: ძოროფორი, კოლფიცევი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარი, არტაანი, ჯავახეთი და კლარჯეთიო"** (**idid**. გვ. 20), მაგრამ. მე-IX-ე საუკუნეში კოლფაქარი და ტაშირი ისევ სომხეთის ხევებად ითვლებოდნენ (გობრონის ცხოვრება, **Рай Грузии,** 394). პლინიუსის სიტყვებიდან მგონი იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ თეზი და თრიალეთი (**regio Thasie et Thriarie**) პირველ საუკუნეშიც ქრ. შ. იბერიელთ ეკუთვნოდა (**Natur. his. cap.** VI, & 26). მხოლოდ სტრაბონის დროს, როგორც ეტყობა, გუგარკი ისეთი დიდი არა ყოფილა და იმდენი ხეობა არა ჰკუთვნებია, როგორც შემდეგ.

იბერიის ხალხს სტრაბონი ორ ნაწილადა ჰყოფს: ერთს ბარის მცხოვრებნი ეკუთვნოდნენ, მეორეს – მთიელნი; ყოფაცხოვრებითა და ზნე-ჩვეულებითაც ერთმანეთისაგან ისინი იმდენად განსხვავდებოდნენ, რომ სტრაბონს მთიელები სკვითების და სარმატების მონათესავედ, ე.ი. სხვა ეროვნების ჩამომავლობის ტომად მიაჩნია. ბარის მცხოვრებნი მიწის მოქმედებას მისდევდნენ, მთიელნი კი უფრო ომსა და ნავარდობასაო. სამწუხაროდ, სტრაბონი არას ამბობს, რა და რა ტომები ბინადრობდნენ მაშინ იბერიაში; პლინიუსი მხოლოდ მთიულებს იხსენებს (**gens Silvorum, Natur. his. lid,** &26), მაგრამ მათი ბინადრობა სწორედ ვერა აქვს ნაჩვენები. რასაკვირველია ბარად სხვების გარდა სამი უმთავრესი ტომი უნდა ყოფილიყო; კახნი, ქართლელნი, რომელთა ენაც შემდეგ ყველა ქართველ მოდგმის ტომების საზოგადო და სამწერლობო ენად გადაიქცა, და იბერნი, ანუ იმერნი, რომელთა სატომო სახელით პირველ საუკუნეში ქრ. წ. მთელი ეს ქვეყანა იწოდებოდა. ჩვენ ვიცით, რომ იბერელნი, ანუ იმერელნი მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდნენ, მაგრამ შემდეგ, როგორც ზემოთ იყო გამორკვეული, რომელიდაც ქართლის შემოსეულმა ტომმა ქართული შეათვისებინა. ცხადია იბერლებს ანუ იმერლებს მეგრელებსა და ქართველებს შორის უნდა ეცხოვრნათ. სწორედ ამ იბერიელ ტომს ეკუთვნოდა პირველ საუკუნეში ქრ. წ. და შ. უპირატესობა: მან მიანიჭა თავისი სახელი მთელ ქვეყანას; შესაძლებელია მხოლოდ რომ ეს იბერელნი ამ დროს გაქართლელებულნი არა ყოფილიყვნენ. შემდეგ ქართლელნი გაძლიერდნენ და ყველა თანამომძე ტომების მწერლობისა და ცხოვრების სათავეში ჩადგნენ.

ზემოდ აღნიშნული იყო, რომ კავკასიის მკვიდრთა შესახებ ცნობები პირველ საუკუნეზე წინად თითქმის სრულებით არ მოიპოვება; განსაკუთრებით იბერიისა და ალბანიის შესახებ ხომ არც ერთს გეოგრაფს კრინტი არ დაუძრავს. ეს გარემოება, რასაკვირველია სამეცნიერო კვლევის საგანს მეტად ართულებს და ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხის გამორკვევას აძნელებს. იმთავითვე ქართველები კავკასიაში ცხოვრობდნენ, თუ შემდეგ დროს გადმოსახლდნენ სადგანმე? აი, ერთი ეს უმთავრეს საკითხთაგანი. ჰეროდოტეს ცნობებიდანა სჩანს, რომ მე-V-ე საუკუნეში ქრ. წ. კოლხები კავკასიაში ცხოვრობდნენ. მეოტიდის ტბიდგან მოყოლებული მდინარე ფასისისა და კოლხების სამფლობელომდე ოცდაათი დღის სავალი გზაა კარგ მოსიარულესთვისო, ამბობს იგი (**Historia**, I, 104). თუნდაც რომ ფაზისი ამ შემთხვევაში ჭოროხსა ნიშნავდეს, ცხადია მაინც, რომ ჰეროდოტეს დროს კოლხებს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას უცხოვრიათ.

ყველა ქართველ ტომების სამშობლო, როგორც ვიცით, ქალდეა იყო. მაშასადამე კავკასიაში ქართველები იქიდან უნდა მოსულიყვნენ, ეს რასაკვირველია ისედაც ცხადია. მაგრამ საქმე ისაა, თუ როდის დაიძვრნენ ისინი იქიდან, ან როდის დაბინავდნენ კავკასიაში. იქნებ ქართველები უუძველეს დროსვე წამოსულიყვნენ და კავკასიაში ისეთ დროს დასახლებულიყვნენ, როცა იქ ჯერ სხვა არავინ მოსახლეობდა. მაშინ ქართველები კავკასიის თავდაპირველი მცხოვრებნი და მკვიდრნი იქნებოდნენ. მაგრამ შესაძლებელია ქართველებს კავკასია უკვე დასახლებულიც დახვედროდათ; მაშინ მათ კავკასიის პირვანდელი მკვიდრნი ან უნდა დაემორჩილებინათ და გაექართველებინათ, ან არა და კავკასიის ქედს იქით გაერეკნათ. რასაკვირველია მთელი ეს მოძრაობა ისეთ დროს უნდა მომხდარიყო, რომლის სესახებაც საისტორიო საბუთების აღმოჩენა შეუძლებელია; მხოლოდ არქეოლოგიას შეუძლიან ამ ხანის და ზემოაღნიშნულ საკითხის შესახებ ცნობები მოგვაწოდოს.

თუმცა არქეოლოგებს კავკასია ჯერ ძალიან ნაკლებად აქვთ შესწავლილი, მაგრამ ის მცირეოდენოც, რაც უკვე გამორკვეულია, ძვირფასს მასალებს გვაძლევს. ერთ დროს კავკასია კაცობრიობის კულტურის სკვნად ითვლებოდა, მაგრამ საარქეოლოგიოო გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ წინანდელი შეხედულებს სწორე არ იყო. რაკი კაცობრიობის პირვანდელ ისტორიის შესახებ არავითარი ქრონოლოგიური ცნობები არ მოიპოვება, ამიტომ, როცა მეცნიერს თარიღის გამორკვევა სურს, იგი დაახლოვებითი ქრონოლოგიით ხელმძღვანელობს ხოლმე, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ხანას ეკუთვნის ნაპოვნი ან აღმოჩენილი ნაშთი. ხანგრძლივმა და მრავალრიცხოვანმა დაკვირვებამ და მთელ ქვეყნიერობის დედამიწის გულიდან ამოთხრილ ნაშთების სესწავლამ მეცნიერები დაარწმუნა, რომ კაცობრიობას დიდი მანძილი ჰქონდა გავლილი, სანამ იგი იმ საფეხურს მიაღწევდა, რომლის სესწავლაც ისტორიულ საბუთების მიხედვით შეიძლება. ყველგან ადამიანი ნელის ნაბიჯით და თანდათანობით მიდიოდა წარმატების გზით. თავდაპირველად ადამიანს, როგორც ეს საფლავების სესწავლამ აღმოაჩინა, ქვისა და ქვისნატეხებიდან გაკეთებულ იარაღის მეტი არა ებადა რა; მერე მრავალ საუკუნოების შემდგომ კაცობრიობამ ქვის გასიპვა ისწავლა და კარგად გაკეთებულ, გამოყვანილ ქვის იარაღების ხმარება დაიწყო. მეცნიერებაში ამ ორ ხანას ქვის ხანას ეძახიან: პირველს – ქვის უძველესი ხანა ჰქვიან, ანუ ბერძნულად პალეოლითის ხანა (პალაიოს – ძველი, ლითოს – ქვა), ფრანგულად **L'etat paleolitique, epoque de la pierre taille**, გერმანულად **die alteste Steinzeit, Paleolithische Periode**, მეორეს გასიპულ ქვის ხანა, ანუ ნეოლითისა, **frang. epoque de la pierre polie,** გერმანულად **die Jungare Steinzeit, Neoliticshe Periode.**

ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა, მრავალმა საუკუნემ განვლო ვიდრე ადამიანი მადნეულობის შემუშავებას ისწავლიდა. კაცობრიობის წარმატებისათვის მადნის გამოყენებას დიადი მნიშვნელობა ჰქონდა; ამ გარემოებამ ადამიანის მთელი ყოფა-ცხოვრების მიმდინარეობა და თვისება შესცვალა და კაცობრიობის განვითარება გააადვილა. ყველაზე წინად ადამიანმა თითბირისა და სპილენძის შემუშავება გამოიგონა, მერე ბრინჯაოსი, დასასრულ რკინისა. რკინის აღმოჩენამ კაცობრიობას ბრწყინვალე მომავალი მიანიჭა და აწინდელ სასისტორიო კულტურის საძირკველი ჩაუყარა. მთელ ამ ხანას მეცნიერებაში მადნეულობის ხანა ჰქვიან; ხოლო იმისდა მიხედვით, თუ რომელ მადნის იარაღსა ხმარობდა ადამიანი, პირველს – თითბირისას და სპილენძისას, მეორეს – ბრინჯაოს ხანას, უკანასკნელს კიდევ რკინის ხანას ეძახიან.

თუმცა კავკასიაში უუძველეს ხანის სპილოსი (**Elephas antiques**) და მამონტის (**Elephas pribigenius**) ძვლები აღმოჩნდა, ხოლო ამიერკავკასიაში **Hippopotamus maior** ნაშთები მოიპოვება და ამით ცხადია მტკიცდება, რომ, სულდგმულებს ამ ქვეყნებში უკვე ყინულის ხანას დროსვე უცხოვრიათ, მაგრამ მაინც ჯერჯერობით მთელ კავკასიაში არც ერთი საყურადღებო და ეჭვმიუტანელი ქვის უძველესისა და გასიპულ ქვის ხანების დროინდელი ნაშთები ნაპოვნი არ არის. რამდენიმე ქვის იარაღი კავკასიაშიც არის ნაპოვნი, მაგრამ რაკი ეს საგნები პირდაპირ მიწიდან არის ამოთხრილი, ამიტომ მეცნიერებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; მკვლევარს არ შეუძლიან დანამდვილებით გაიგოს, მარტო ქვის იარაღები იყო იმ საფლავში, საიდანაც ეს ნივთებია ამოღებული, თუ ბრინჯაოს და რკინის საგნებს შორის ეწყო. ამ გარემოებას-კი მეცნიერებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დამტკიცებულია, რომ ადამიანი ზოგჯერ იარაღებს ბრინჯაოსა და რკინის ხანას დროსაც ხმარობდა ხოლმე, ზოგ საგნებს ჩვენს დროშიც, ეხლაც ვხმარობთ. არც კაღზევნის (კულპის) ქვის ეროებია დიდ ყურადღების ღირსი, არც ეს ეროები ეკუთვნიან უძველეს დროს. ერთი სიტყვით საარქეოლოგიო ნაშთების შესწავლა ამტკიცებს, რომ ქვის ხანაში ადამიანს კავკასიაში არ უცხოვრია. როცა იქ ადამიანს პირველად ფეხი შეუდგამს, მას უკვე მადნის შემუშავება სცოდნია. მაშასადამე უძველესი და თავდაპირველი მოსახლეობა კავკასიაში მადნეულობის ხანის დროს გაჩენილა. ამ აზრს მისდევენ ყველა მეცნიერები; ხოლო მადნეულობის რომელ ხანას ეკუთვნის, სახელდობრ, ბრინჯაოსა თუ რკინის ხანას, ამის შესახებ მეცნიერები სხვა-და-სხვა აზრისანი არიან: ბაერნი ფიქრობს, ამიერკავკასიაში ადამიანი პირველად ბრინჯაოს ხანას, ან ბრინჯაოს ხანა რომ რკინის ხანად იცვლებოდა იმ დროს გაჩნდაო; ამავე აზრს ჰიორნესი (**Hernes**) და როგორც ეტყობა პროფ. დ. ანუჩინიც ემხრობა. განსვენებული პროფესორი ვირხოვი-კი ამტკიცებდა, კავკასიაში ყველა აღმოჩენილი საერქეოლოგიო ნაშთები მხოლოდ რკინის ხანას დასაწყისს ეკუთვნიანო. რაკი ყველგან სასაფლაოებში, საცა კი ბრინჯაოს იარაღი და ნივთები მრავლად არის ნაპოვნი, ისე არ იქნება, რომ თითო-ოროლა რკინის საგანი მაინც არ შეგვხვდესო, – რიცხვს იმისთანა შემთხვევაში, სამართლიანად ფიქრობს პრ. ვირხოვი, დიდი და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ, რომ რკინა მიწაში წყლისა და სინესტისაგან ადვილად ჟანგდება, იშლება და მტვრად იქცევა ხოლმეო, – ამიტომ უეჭველია, რომ კავკასიის უუძველესი მოსახლეობა რკინის ხანას ეკუთვნისო. თუნდაც რომ თითოეულ საფლავში თითო რკინის ნივთის მეტი არ აღმოჩენილიყო, მაინც ცხადია, იმ დროს უკვე რკინის შემუშავება უნდა სცოდნოდათ; ამ საგნების სიმცირე მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ამ დროს ჯერ კიდევ რკინის ხანის დასაწყისი იყო. მაშასადამე იმ ერს, რომელიც კავკასიაში თავდაპირველად მოსულა და დაბინავებულა, ქვის ორივე ხანა და თითქმის ბრინჯაოსიც განვლილი და მოჭმული უნდა ჰქონოდა და რკინის შემუშავების შესწავლას შესდგომია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ის უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა...

უინსტონ ჩერჩილი,
დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი:

„...მე ჩავედი კრემლში და პირველად შევხვდი დიდ რევოლუციონერ ბელადს, ბრძენ მოღვაწესა და მეომარს... მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობითა და ურთიერთობით გაამაყებული, ვისმა დიდებამაც მარტო რუსეთს კი არა, მთელ მსოფლიოს გადაუარა“.

„ბატონებო! თუ ჩვენ გვინდა, ვიყოთ და დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალი ვიცოდეთ და ჯეროვანი შეფასება მივცეთ ჩვენს მტრებს, განსაკუთრებით გამოჩენილ პიროვნებებს. დღეს ასეთად მიდა დავასახელო გენერალისიმუსი სტალინი.

რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი სტალინი. იგი იყო ყველაზე გამოჩენილი პიროვნება, რომელიც შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება. სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი საქმეში და საუბრისას, ვისაც, მეც კი, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას.

სტალინს, უწინარეს ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის დიდი გრძნობა და თქმულის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა, თავის სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში იმდენად დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და დროის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩინდებოდა.

სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. ადამიანებზე მის გავლენას ანალოგი არ გააჩნდა... როცა ის იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ თითქოს ბრძანებაზე ვდგებოდით და, რა საოცრადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული.

ის ღრმა, გააზრებულ სიბრძნეს ფლობდა. იყო ყველაზე რთული, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს არ ჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს. იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია, ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, გვაიძულებდა ჩვენ, რომელთაც დაუფარავად იმპერიალისტებს გვიწოდებდა, იმპერიალისტების წინააღმდეგ გვებრძოლა.

სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია. მან მიიღო ხისკავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი.

რაც არ უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებენ!“

ფრანკლინ რუზველტი,
აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი:

„...მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. წვრილმანები გამორიცხულია. ის აყალიბებს საკითხს, რომლის განხილვაც სურს და ამ საკითხიდან არც აქეთ და არც იქით არ იხრება“.

ადოლფ ჰიტლერი:

„...უდაოდ გვმართებს სტალინსაც ჯეროვანი პატივისცემით მოვეკიდოთ, ერთგვარად ის... გენიალური ტიპია“.

ალექსანდერ იდენი,
დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი:

„სტალინმა თავდაპირველად ჩემზე შთაბეჭდილება თავისი ნიჭიერებით მოახდინა და მასზე აზრი არ შემცვლია. მასზე დაღადებდა თვითონ მისი პიროვნება, რომლის შეფასებაც გაზვიადებას არ საჭიროებდა. მას ჰქონდა კარგი ბუნებრივი, ეტყობა, ქართული წარმომავლობის მანერები. მე ვიცი, რომ ის იყო შეუბრალებელი, მაგრამ პატივს ვცემ მის გონებას და სიმპათიურადაც კი ვარ მის მიმართ განწყობილი, რისი დასაბამი ჩემი თავისთვის ბოლომდე ვერც ამიხსნია. ალბათ, ეს სტალინის პრაგმატიზმის შედეგი იყო. ჩქარა გავიწყდებოდა, რომ შენ პარტიელ ლიდერთან ლაპარაკობდი... მე მისი სახით ყოველთვის საინტერესო, მოღუშულ და მკაცრ თანამოსაუბრეს ვხედავდი, – ხშირად ასეთ განწყობაზე ყოფნას მას განსახილველი საკითხები ავალდებულებდა. მე არ მცნობია თათბირზე თავისი თავის ასე მფლობელი სხვა ადამიანი. სტალინი ღრმად იყო ჩახედული ყველა საკითხში, რომლებთანაც შეხება ჰქონდა, ის წინდახედულობითა და ოპერატიულობით გამოირჩეოდა... ყოველივე ამის უკან, უეჭველად, ძალა იდგა“.

ჰარი ჰოპკინსი,
ფ. რუზველტის ერთ-ერთი უახლოესი მრჩეველი:

„...მე დარწმუნებული ვარ ამ ფრონტის წარმატებაში. აქ სუფევს უსათუოდ გამარჯვების მტკიცე რწმენა“.

შეხვედრის დროს არ წარმოთქმულა არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არ ყოფილა არავითარი ზედმეტი ჟესტი, არავითარი მანჭვა. გეგონა, რომ რაღაც შესანიშნავად გაწონასწორებულ, გონიერ მანქანას ელაპარაკებოდი. იოსებ სტალინმა იცოდა, რაც სურდა, იცოდა, რაც რუსეთს სურდა და ვარაუდობდა, რომ ეს თქვენც იცოდით... თუ ის ყოველთვის ისეთია, როგორსაც მე ვუსმენდი, ის ფუჭად არც ერთ სიტყვას არ ამბობს. ...და ...იმის რწმენას გვიქმნის, რომ რუსეთი გაუძლებს გერმანული არმიების იერიშებს“.

„ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავით, რომ მოვიპოვეთ მშვიდობის პირველი დიადი გამარჯვება, „ჩვენ“-ში მე ვგულისხმობ ყველა ჩვენგანს, მთელ ცივილიზებულ კაცობრიობას. რუსებმა გვიჩვენეს, რომ მათ ძალუძთ გონივრულად და გამჭრიახულად იმოქმედონ და არც პრეზიდენტს, არც რომელიმე ჩვენგანს ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი, რომ შევძლებთ მათთან შეგუებას და თვალმისაწვდომ მომავალში ერთობლივი საქმეების კეთებას, მაგრამ მე ერთი რამეც უნდა ვთქვა, ჩვენგან არავის შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა, სტალინს რომ რამე დამართოდა, როგორი შედეგები გვექნებოდა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ შეგვეძლო დავნდობოდთი მის გონებას, გრძნობასა და გაგებას, მაგრამ, ჩვენი ეს რწმენა არ ვრცელდებოდა იმ გარემოებებსა და იმ მოღვაწეებზე, რომლებიც მის ზურგს უკან იმყოფებოდნენ იქ, კრემლში“.

იოაჰიმ რიბენტროპი,
ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი:

„ჩვენი მთავარი და ყველაზე მოწინააღმდეგე მტერი საბჭოთა კავშირია, სტალინი კი, როგორც სტრატეგი და სახელმწიფო მოღვაწე, უფრო ნიჭიერი, ვიდრე ჩერჩილი და რუზველტი – ორივე ერთად“, რაზედაც ჰიტლერი დაეთანხმა.

შარლ დე გოლი,
საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი:

„სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, და არა მარტო რუსეთში, მას ძალუძდა „ესწავლებინა“ თავისი მტრებისათვის, რომ დამარცხებისას პანიკას არ მისცემოდნენ და გამარჯვებებით არ ენეტარათ, გამარჯვებები კი მას დამარცხებებზე მეტი ჰქონდა. სტალინური რუსეთი მონარქიასთან ერთად დაღუპული წინანდელი რუსეთი არაა, მაგრამ სტალინური სახელმწიფო სტალინის ღირსეული მემკვიდრეობის გარეშე განწირულია“.

ალექსანდრ კერენსკი,
რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი:

„სტალინმა რუსეთი ფერფლიდან აღადგინა, დიდ სახელმწიფოდ აქცია, ჰიტლერი გაანადგურა, რუსეთი და კაცობრიობა გადაარჩინა“.

ანდრეი გრომიკო,
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი:

„...ყველაფერი, რაც სტალინს შეეხებოდა, ყველას, განსაკუთრებით ჩვენ, შედარებით ახალგაზრდებს, გვაინტერესებდა, ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდებოდით მას, ვაფიქსირებდით მის ყოველ სიტყვასა და ჟესტს. სტალინის გვერდით ყოფნა, მით უმეტეს, მასთან ლაპარაკი, ვიწრო წრეში მისი გამონთქვამების მოსმენა ჩვენთვის რაღაც განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა. სტალინის ლაპარაკისა და მოქმედების მოწმე კარგად აცნობიერებდა, რომ მის წინ იმყოფებოდა ადამიანი, რომლის ნებასურვილზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნისა და ხალხის, კიდევ მეტი, მსოფლიოს ბედ-იღბალი...

„...სტალინის ყურადღება, მეხსიერება, დღევანდელობის შედარებას თუ მოვიშველიებთ, ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანას მოგაგონებდათ, რომელიც არაფერს არ გამოტოვებს ხოლმე. მას ნათელი, არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა“.

„სტალინი უაღრესად ღრმა განათლებული ადამიანი იყო. არავითარ ფორმალურ განათლებას არ შეეძლო მიეცა მისთვის ის, რაც მისცა მას თავის თავზე მუდმივმა დამოუკიდებელმა მუშაობამ. სწორედ ასეთი ტიტანური შრომის შედეგი იყო საყოველთაოდ ცნობილი სტალინური ენა, ურთულესი აზრის ასაგებად და პოპულარულად ჩამოყალიბების მისებრ განსაცვიფრებელი უნარი.

...ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სტალინს სხდომების მსვლელობისას თან არ ჰქონდა არავითარი საქაღალდე და ჩანაწერი... ასე იყო თეირანის, იალტისა და პოტსდამის საერთაშორისო კონფერენციებზეც. მერეც არც ერთხელ არ მინახავს, რომ რომელიმე თათბირზე მას ხელთ ჰქონოდა ფანქარი ან კალმისტარი...

...თათბირებზე და საერთაშორისო კონფერენციების სხდომებზე ის ყოველთვის უაღრესად მომზადებული მოდიოდა. საერთაშორისო კონფერენციებზე საბჭოთა კავშირის სახელით, როგორც წესი, ყოველთვის ის გამოდიოდა. როცა ამის აუცილებლობა იქმნებოდა, სტალინი მოკავშირეებისადმი მკაცრ პოზიციას იკავებდა და გადაჭრით იცავდა სსრ კავშირის ინტერესებს.

მას, როგორც საბჭოთა დელეგაციების ხელმძღვანელს, უდიდესი წვლილი მიუძღვის თეირანის, იალტის, პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, საბჭოთა კავშირის არსებითი ინტერესების დაცვაში, ანტიჰიტლერული კოალიციის განმტკიცებისკენ მიმართული შეთანხმების ძიებაში“...

„...უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი საზღვარგარეთელ მოღვაწეებს მაინცდამაინც არ ანებივრებდა ყურადღებით, ის ჩვენი ქვეყნის ღირსებას უფრთხილდებოდა და მით უფრო დიდი მკრეხელობა იქნებოდა იმის გაფიქრება, თითქოს ის საზღვარგარეთელ მოღვაწეებს ეკურკურებოდა, რაც არ უნდა დიდი რანგისა ყოფილიყვნენ ისინი. ი. ბ. სტალინის დანახვა და მოსმენა საზღვარგარეთელი მოღვაწეებისთვის უკვე მხოლოდ ამიტომაც დიდი მოვლენა იყო“.

„როდესაც ის გამოდიოდა, ყველა იქ მყოფი – სხდომის მთავარი და არამთავარი მონაწილენიც სტალინს შეჰყურებდნენ. რომელიმე სხვა მონაწილე რომ ლაპარაკობდა, მაშინაც იქ მყოფთა უმრავლესობა სტალინს, მისი სახის გამომეტყველებას უყურებდა იმის ამოსაცნობად, გასაგებად, თუ როგორ აფასებდა ის თავისი კოლეგების სიტყვებსა და აზრებს.

და აი, სტალინი ხმადაბლა, თითქოს სხვათაშორის, იწყებდა ლაპარაკს. ის ისე ლაპარაკობდა, თითქოს მის გარდა იქ მხოლოდ ორნი იმყოფებოდნენ. მისთვის უცხო იყო ყოველგვარი შებორკილობა, ეფექტის მოხდენის რამენაირი სურვილი, ყოველგვარი გაუმართობა და დაუხვეწაობა აზრის გადმოცემაში. მისი ყოველი სიტყვა ისე ჟღერდა, თითქოს ისინი სპეციალურად ჰქონდა დამუშავებული სწორედ ამ აუდიტორიაში და ამ მომენტში წარმოსათქმელად.

ყურადღებას იქცევდა ის, რომ, როცა სტალინი მოსაზრებებს გამოთქვამდა, რუზველტი ხშირად ცდილობდა, საბჭოთა ლიდერთან თავისი დამოკიდებულება ან თავის დაქნევით, ან გულღია შეხედვით გამოეხატა“.

ჯოზეფ დევისი,
აშშ ყოფილი ელჩი სსრ კავშირში:

„...იოსებ სტალინი, როგორც ჭეშმარიტად დიდი ადამიანი მეტად თავმდაბალი და მოკრძალებულია. ის უარყოფს მისდამი გამოთქმულ ყოველგვარ ქება-დიდებას უდიდესი სამრეწველო ობიექტების აშენებისთვის, რომელთა ნახვა მე მომინდა, და მიაჩნია ისინი ქვეყნის ათასობით ინჟინერ-ტექნიკოსთა თანამოღვაწეთა და მუშა-მოსამსახურეთა დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად... რომ არა მოვლენათა მისეული განჭვრეტა, კეთილგონიერება და დაუოკებელი ნებისყოფა, შეუძლებელი იქნებოდა მძლავრი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნა და გერმანელებს, საბჭოთა საზჭვრის გადალახვისას წინ არ აღუდგებოდა ტანკებით, ქვემეხებითა და თვითმფრინავებით შეიარაღებული წითელი არმია, რომელმაც შესაძლებლობა არ მისცა ჰიტლერს, საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში, ბატონობა დაემყარებინა ევრაზიაზე, საბოლოოდ აფრიკაზე და მათ მიმდებარე ზღვებზე“.

ავარია ხონი-მარტვილის გზაზე და ნარაზენელი ჭიჭიკო მეწისქვილე!

გაგრძელება 8-გვ-დან

რას, სოფლის მენახირეებს შუადღის საგზლის ნარჩენი **„პურმარილი“** გაეშალათ და უცხო რომ მნახეს, მობოდიშებით მიმიწვიეს. სიამოვნებით გავტეხე მათთან ერთად ცივი მჭადი და ყველი, შემოთავაზებული ჭიქა ღვინოც მივაყოლე და რაც მათგან მოვისმინე, იმდენად საინტერესო გამოდგა, შევეცადე ქაღალდზე გადამეტანა. არ ვიცი რამდენად კარგად შევიძელი იგი, მაგრამ, ჩემი თანამესუფრეები რომ **გაპიარებულ სამთავრობო ექსპერტებზე ბევრად მაღლა დგანან**, ეჭვი არავის შეეპარება. სანამ **„ილორის“** რედაქციისთვის ამ ჩანაწერის გამოგზავნას გადავწყვეტდი, იგი რამდენჯერმე გადავიკითხე – არ დაგიმალავთ, მომეწონა! თუ თქვენც მოგეწონებათ და გამოაქვეყნებთ მას, მაშინ რედაქციაშიც გეწვევით, პირადად გაგეცნობით და ჩემი და უამრავი ჩემისთანების გულისტკივილსაც მოგახსენებთ – **დასაღუპად განწირული ჩვენი სამშობლო რომ არ ეთმობათ!**

რედაქციის მინაწერი: თავიდან არ ვაპირებდით ამ წერილის გამოქვეყნებას, მაგრამ იგი ალალმართალი ავტორის უფლების დარღვევად მივიჩნიეთ. სამაგიეროდ, ვცადეთ ადგილებზე მოგვეკითხა მომხდარი ამბების შესახებ. მარტვილში, კურიოზული ავარიის გახსენებაზე, სიცილ-ხარხარი დაგვაყარეს – ეს რამ გაგახსენათო!.. მეტი ვერაფერი დავადგინეთ.

ზუგდიდშიც იგივე გამეორდა, ოღონდ ბორის ლომაიას უზნეო საქციელი მისი გამზრდელი მშობლებისთვის არავის დაუბრალებია!

ასე გვითხრეს – ბორის ლომაია ის შემთხვევაა, რომელსაც **„წვრთნამ ვერაფერი უშველა და არც ბუნება შეეწია!“** ამიტომ, გამზრდელებმა, აღზრდილის უზნეო საქციელის გამო თავი არ უნდა მოიკლან. მითუმეტეს, მისი გამზრდელები (ნარაზენელების თქმით, ბორის ლომაია, მის მიერ დედადხსენებული, უაღრესად სათნო ქალბატონისთვის ნაშვილები ყოფილა, რომელსაც, ამ 75 წლის უზნეომ მრუშობა დასწამა, სხვა მრავალტანჯულ, ნარაზენელ დედებთან ერთად!) დიდი ხნის წასულები არიან იმ ქვეყნად, ღმერთმა აცხონოსო მათი ნათელი სულები!

ბორის ლომაია და მისნაირები ჟამიდან-ჟამს ყოველთვის გამოჩნდებოდნენ ერის და კუთხის სირცხვილად და იგი სამეგრელოს არ გაუკვირდება!

უბედურება ის არის, რომ მას და მისნაირებს ნოყიერ ნიადაგს უქმნის დღევანდელი საქართველოს პირველი კაცი და მისი ხელისუფლება!

ამბობენ, აგვისტოს ბოლოს აშშს მთავრობის დაჟინებული მოთხოვნით ინტერნაციონალური გეიპარადის ჩატარებას აპირებენო აჭარის დედაქალაქში!

არ გაგვიკვირდება, მოზეიმეთა სამთავრობო გუნდში, ერთ-ერთ მედროშედ ბორის ლომაიაც ვიხილოთ.

ბორის ლომაიას წისქვილის პიკნიკის მეგობრებს კი ვურჩევთ დაფიქრდნენ, ვისთან აქვთ საქმე და რას სჩადიან!

თუ ისინი ამ საკითხზე რეაგირებას არ მოახდენენ, ყველა მათგანს ვულოცავთ დამდეგ – გეების ინტერპარადს!.. და, უფრო დაწვრილებით მოგვიანებით მოგახსენებთ მათზე!

მიდით ბიჭებო, თქვენი ასპარეზი იხსნება!

„ილორის“ უახლოეს ნომერში, მკითხველს შევთავაზებთ ვრცელ ინფორმაციას – **ქვეყნის „ტაილანდიზაციის“ დამღუპველი პროექტის შესახებ, რასაც სააკაშვილი და მისი გადაგვარებული გარემოცვა უმზადებს ქართველ ერს!**

დაიმახსოვრეთ – ქართველ ერს!.. და არა საქართველოს მოსახლეობის სხვა ერების წარმომადგენლებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნეობა, ზნე, ზნეკეთილი, უზნეო...

ზნე – ჩვეულებით რაიც(ა) საქმე სჭირდეს, კეთილი თუ ბოროტი, ზნე იგი არს.
სულხან-საბა ორბელიანი, "ლექსიკონი ქართული".

"რაიცა საქმე სჭირდეს"-ო. ასე განმარტავს ამ მცნების მნიშვნელობას ქართველი ერის ერთ-ერთი სულიერი ორიენტირი, დიდი სულხან საბა ორბელიანი. უეჭველია, რომ უზნეობა ნებისმიერი ერის გარკვეული ნაწილის ისტორიულად თანამდევი ატრიბუტი გახლდათ, თორემ სულმნათი საბა ასეთ ვრცელ განმარტებას არ მისცემდა **"ზნეობას"**, როგორც ქართველი ერის სანუკვარ ფენომენს. მაგრამ, განსხვავება დღევანდელ და შუასაუკუნეობრივ უზნეობას შორის ისაა, რომ მაშინდელ საქართველოში უზნეო ადამიანსა და მის უზნეო საქციელს საზოგადოება ამრეზით უყურებდა და საერთო-სახალხო სიძულვილს, თემიდან მოკვეთასაც კი უპირისპირებდა, დღეს კი, ხელისუფლებამ, მისმა თანამდევმა **"თავისუფლების ინსტიტუტმა"** და სხვა არასამთავროებმა, უზნეობა ლამის ცხოვრების წესად უქციონ სრულიად საქართველოს.

და განა არ გვჭირს **"რაიცა საქმე"** სამარცხვინო და ყოვლად მიუღებელი იმ ოჯახისა და იმ ოჯახისშვილებისადმი, რომლებიც მტკიცედ იცავენ წინაპართაგან ძვირფას ანდერძად გადმოცემულ ზნეობრივ ნორმებს, რომელსაც ხელისუფლების ფავორიტი უზნეობის აპოლოგეტები არქაულ გადმონაშთად მიიჩნევენ და **"სამარცხვინო ბოძზე"** აკრავენ ზნეკეთილ და ზნემაღალ ადამიანებს?!

ვაი, შენ, უბედურო საქართველოვ, რომელსაც ზნეობას გამადლიან ეს მანქურთები და უბიწოებაშელახულად სურთ შენი საფლავში ჩასვენება!

საფლავი კი უკვე გათხრილია, ახლა მხოლოდ საქართველოს გაკახპება-გამეძავება, გაჰომოსექსუალისტება, მისი საბოლოოდ განადგურება და მიწაში ჩაფლვა რჩება! და თუ ხელისუფლებას ამ პროცესების **"უმტკივნეულოდ"** ჩატარების საშუალებას მივცემთ, აღარც ჩვენი სიკვდილი იქნება შორს!

მით უმეტეს, რომ **"გლობალური კატასტროფაც"** ავბედითად არის მოშტერებული სამყაროს და გადასანსვლას უპირებს მას!

ამ დროს კი რა ზნეობაზე ზრუნვა და მოთქმა-ტირილი აგიტყდაო, დასვამს კითხვას ობივატელი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **"განკითხვის ჟამის"** მთავარი შემოქმედი სწორედ ის უზნეობა გახლავთ, რომელმაც შეიწირა სოდომი და გომორა და რომელიც ასევე შეიწირავს ლამის სოდომად და გომორად ქცეულ საქართველოს!

ამის დასტურად თუნდაც რამდენიმე კონკრეტული ფაქტის მოხმობაც კი იქნება საკმარისი.

დავიწყოთ იმით, რომ ჩვენგან ყოველნაირად უარყოფილ კომუნისტებს ადამიანური მორალი და ზნეობა თითქმის უმაღლეს დონემდე ჰქონდათ აყვანილი. კომუნისტისათვის ოჯახის დანგრევა და მეუღლესთან გაყრა უფრო მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, ვიდრე ღრმა მორწმუნისათვის ჯვრისწერის საიდუმლოების ხელყოფა. ოჯახის დანგრევის ინიციატორი ჰკარგავდა პარტბილეთს (იშვიათ შემთხვევაში თუ აკმარებდნენ ხოლმე უფრო მსუბუქ პარტიულ სასჯელს), თანამდებობას და სხვა პრივილეგიებს. საზღვარგარეთ ისე ვერ გახვიდოდი, თუ მყარი მორალის მქონე პიროვნებად არ დაგახასიათებდა რაიკომის ბიურო და სხვა. სწორედ ეს შემაკავებელი ფაქტორი გახლდათ საბჭოთა კავშირში მტკიცე ოჯახის არსებობის ქვაკუთხედი, რომელიც ამას წინათ სახელისუფლებო ტელეარხზე ლამის მიწასთან გაასწორა არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების ერთ-ერთმა აპოლოგეტმა, კინომცოდნე გიორგი გვახარიამ და გასაშტერებელი დასკვნა გააკეთა **"სტალინს მტკიცე ოჯახი თავისი დიქტატურის განსამტკიცებლად სჭირდებოდა"**-ო.

არა, ბატონებო! არამტკიცე ოჯახი სწორედ გვახარიასნაირ გადაგვარებულებს სჭირდებათ, რომლებიც სიამოვნებას მხოლოდ საძრახის სექსუალურ კავშირებში პოულობენ და ამიტომ ერიდებიან მტკიცე ოჯახის შექმნას, რომელიც როგორც მოქალაქეობრივად, ასევე რელიგიურად, მყარი მორალური და ზნეობრივი ნორმების დაცვას საჭიროებს!

სწორედ ამას ჰქვია ზნეობრივი ნორმების სრული უგულვებელყოფა, ესე იგი – გარყვნილება, ესე იგი – **"სოდომისა და გომორას"** ცოდვა, ესე იგი – **"რაიცა საქმე სჭირდეს"** ბოროტი, რყვნილი და სატანისაგან მოვლენილი, არაქრისტიანული, არამართლმადიდებლური, სოროსისეული...

ერთი ადამიანი ნამდვილად ვერ გაუმკლავდება ამდენ მოძალებულ სიმდაბლეს! ამიტომაა საჭირო საზოგადოების ჩარევა და ეს რომ არ მოხდეს, ხელისუფლება ამიტომაც ცდილობს საქართველოს პროგრესული საზოგადოების ნეიტრალიზებას!!!

ზნეობრივი ადამიანები ახლა **"ჩარეცხილებად"** მოიაზრებიან.

არ ვიცი, რას უხდიან ხელისუფალნი იმ ადამიანებს, რომლებიც ზედმეტი **"დამჯერებლობისათვის"** ლამის სიამაყის განცდით ყვებიან იმის თაობაზე, თუ როგორ ირჩენდნენ თავს მეძავობით მათი ოჯახის უახლოესი წევრები: დედა, და თუ ქალიშვილი. ამის აშკარა დასტური გახლავთ საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის კახა ლომაიას მამის – ბორის ლომაიას **"გულახდილი"** აღიარება იმის თაობაზე, რომ თურმე დიდი სამამულო ომის დროს სოფელ ნარაზენში მცხოვრები ქალები (მათ შორის დედამისიც), რომელთა ქმრები ომში იბრძოდნენ, თურმე თითო ჯამი სიმინდის ფქვილისთვის ლოგინში უგორდებოდნენ ჭიჭიკო მეწისქვილეს.

შეიძლება ხდებოდა კიდეც ამგვარი უზნეობა და შიმშილი მართლაც აიძულებდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს ზნეობრივი პრინციპების უგულვებელყოფას, მაგრამ სატრაბახო რა არის ამაში, ის ვერ გამიგია. უეჭველია, რომ ბორის ლომაიას ამგვარი აღიარებით ხელისუფლება ხალხს **"ამშვიდებს"** – საქართველოს მოსახლეობა დიდი ზნეობით არასოდეს გამოირჩეოდა, ამიტომ, თუ თქვენც არად ჩააგდებთ ზნეობის მოთხოვნებს, ამით მხოლოდ თქვენს **"სახელოვან"** წინაპართა ტრადიციებს განაგრძობთო.

ნათქვამის დასადასტურებლად კიდევ ერთ ფაქტს მოვიხმობთ. არ გვსურს დავიჯეროთ, მაგრამ მთელი რეგიონი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა თავშესაქცევი ამბავი მოხდა ამას წინათ სამეგრელოს ერთ-ერთ ულამაზეს რაიონში – **ისეთი ავარია მოუვიდა ხონდან მარტვილისკენ მიმავალ ჯიპს, რომ, თურმე, შიგ მსხდომ ქალებს ქვედა საცვლები გაძრობიათ"**

მთელი რაიონი გულიანად ხარხარებდა ამის თაობაზე, მას შემდეგ, რაც ავტოპროფილაქტიკაში სარემონტოდ მოყვანილ მანქანაში მექანიკოსებმა ქალის ტრუსები აღმოაჩინეს..

– კი მაგრამ, რა სისწრაფით უნდა ევლო მანქანას ამ მიხვეულ-მოხვეულებში (თან, იმასაც ამბობდნენ, რომ საჭესთან ერთი "ნაციონალი" მაღალჩინოსნის მეუღლე იჯდაო), რომ ისეთი ავარია მოეხდინა, დარტყმისგან საჭესთან მჯდომ ქალბატონს და მის თბილისელ დაქალებს ქვედა საცვლები (იგივე – ნიფხვები, ახლა რომ ტრუსებად მოიხსენიებენ) გაძრობოდათ? – გაოცებას ვერ მალავდნენ მარტვილელები.

აქ მხოლოდ ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – ალბათ ამ ქალბატონებმა **„საქმიან"** შეხვედრამდე წინასწარ დაიჭირეს თადარიგი და თავი გაინთავისუფლეს ზედმეტი ბარგისაგან, რათა მის გახდაში დროს არ დაჰკარგვოდათ და შინ დროზე მისვლოდნენ თავიანთ ქმრებს როგორც ერთგული და **„უბიწო"** ცოლები...

ალბათ ამიტომაც იმიტომ იქცევიან ასე **"ულტრამოდურად"** ავტომანქანით მოსეირნე მაღალჩინოსანთა ცოლები, რომ ზნეობის სიმძიმისაგან გაინთავისუფლონ უზნეობით დამძიმებული სული!

საინტერესოა, სამეგრელოში ისტორიულად მაღალი ზნეობით გამორჩეულ რაიონში მომხდარ ამ სასაცილო (სატირალი რომ არ იყოს!) ავარიის შედეგს როგორ ახსნას მოუძებნიდა დიდი სულხან-საბა!

ჩვენ კი ამას მორალურ ეროზიას დავარქმევთ, რადგან სწორედ მაღალი სულიერების სიმწირე და რელიგიური პრინციპებისადმი აგდებული დამოკიდებულება გახლავთ ზნეობრივი პრინციპების უგულვებელყოფის ქვაკუთხედი. გამორიცხული არ არის, რომ მართლაც სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილი გასეირნების მოყვარული ქალბატონის მეუღლეს ან საკუთარი ხარჯებით ჰქონდეს აშენებული ეკლესია, ან მონაწილეობა მიეღოს რომელიმე ეკლესიის აგების საქმეში, მაგრამ იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რომ იქნება კი ამგვარი სულბინძური ოჯახების შემოწირულობებით აგებული ეკლესია მაღალი სულიერების სავანე?

მაგალითად, შეიძლება ლოცვა-კურთხევის ავლენა შევარდნაძის მიერ აგებულ ეკლესიაში?

როგორ შეიძლება, რომ სატანამ რაიმე სარგებლობა მოუტანოს ქვეყნის არასახარბიელო ბედით გულდამძიმებულ ადამიანებს?

უზნეობა სწორედ ედუარდ შევარდნაძემ დაამკვიდრა საქართველოში, რომელიც მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მისთვის დამახასიათებელი სიბინძურეებისა და გაუთავებელი ინტრიგების წყალობით საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად მოგვევლინა. ამ პირწავარდნილმა კარიერისტმა და ზნეობისაგან დაცლილმა სულმდაბალმა არსებამ (რა გასაკვირია, რომ იგივე ინტრიგების მოშველიებით მისნაირებისთვის **"გადაელოცნა"** საქართველოს მართვის საჭეები) მრავალი წესიერი ადამიანის სიცოცხლე შესწირა საკუთარ თანამდებობასა და კეთილდღეობას.

შევარდნაძემ პოლიტიკურ სანაგვეზე გადაინაცვლაო! – ამტკიცებენ მავანნი. ეს არ გახლავთ სიმართლე, რადგან დღეს რომ საქართველოში შევარდნაძიზმი მძვინვარებს, ასე მას არ უმძვინვარია შევარდნაძის **"მეორედმოსვლის"** დროსაც, როცა ამ დაუნდობელმა მგელმა **"დემოკრატიის"** მანტია მოისხსა, ვითომ ქრისტიანულად მოინათლა და უკვე პრეზიდენტად მოგვევლინა სრულიად საქართველოს მისი კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის შემდეგ.

მხოლოდ სატანა თუ მოახერხებს, რომ ბინძური გარიგების შედეგად საკუთარი საპრეზიდენტო სავარძელი შეინარჩუნოს, იგი საქართველოს ძირძველ ტერიტორიებში გაცვალოს, ხოლო დევნილი მოსახლეობა კვლავ მადლიერი დარჩეს მის მიმართ!

მაგრამ ეს უკვე ქართული საზოგადოების ანგარიშგასაწევი ნაწილის სიხარბესა და ზნეობრივ არასრულფასოვნებაზე მეტყველებს!

სწორედ ამაზეა მწარედ ნათქვამი, **"ყოველ ქვეყანას ის ხელისუფლება ჰყავს, რომელსაც იგი იმსახურებს".**

ქართველ ხალხს კი უნდა შევახსენოთ, რომ ხელისუფლების თავნებობისადმი გულგრილობა დიდი დანაშაული და უზნეობის მიმანიშნებელია.

უზნეობისგან რომ გადაიტვირთა საქართველო, ამიტომაც მძლავრობს სატანა მის გულ-გვამში!

მაგრამ არსებობს იმის სერიოზული ეჭვი, რომ წინ უფრო დიდი უზნეობა მოგველის, რომელმაც შეიძლება საშინელი დაღი დაასვას სრულიად საქართველოს და მართლაც დაშლა-განადგურების რეალური საფრთხე შეუქმნას მას.

საუბარია ბათუმზე, სადაც მართლაც გამალებული ტემპებით მიმდინარეობს ქალაქის საამშენებლო სამუშაოები და იგი მართლაც ემსგავსება გარეგნულად თანამედროვე ევროპულ ქალაქს (თუ რა თქმა უნდა, არ გავითვალისწინებთ თურქების მიერ აშენებულ სახლებს, რომელთაც მხოლოდ ნახევარმთვარის წამოკოსება აკლია სახურავზე, თორემ წმინდა წყლის მიზგითებად და მინარეთებად შეიძლება მივიჩნიოთ). რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილს, იგი თბილისში თითქმის აღარ ჩნდება და პრაქტიკულად ან ბათუმში იმყოფება, ან ან საზღვარგარეთ, აჭარის დედაქალაქში კი მთელ მსოფლიოს უგზავნის მესიჯებს, რომ ბათუმზე ლამაზი ქალაქი დედამიწის ზურგზე არ არსებობს და იმიტომაც ეწყობა ბათუმში ყოველნაირი დონის კონცერტები და სანახაობები.

სწორედ აქ იბადება სერიოზული ეჭვი.

როგორც იცით, ამერიკელი და ევროპელ **"ბოსები"** აქტიურად მოითხოვენ სააკაშვილისგან, რომ, როგორც შენ ამტკიცებ, თუ ნამდვილი დემოკრატიული ქვეყანა ააშენე, მაშინ კეთილი ინებე და საერთაშორისო გეიპარადი (ე.ი. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირთა – მოკლედ და დაურიდებლად რომ ვთქვათ, **"პედერასტთა და ლესბოსელთა"**) აღლუმი ჩაატარეო. კარგად იცის სააკაშვილმა, რომ თბილისში ამგვარ სამარცხვინო და ამაზრზენ სანახაობას ვერ ჩაატარებს, რადგან ხალხი ქვებითა და ჯოხებით ჩაქოლავენ აღლუმში მონაწილე საზიზღარ არსებებს.

აქედან გამომდინარე, მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის 20 აგვისტოს გაკეთდა საქართველოს საპატრიარქოს განცხადება ხელისუფლების სამარცხვინო, გულისამრევ განაზრახზე – ჩაეტარებინა ბათუმში საერთაშორისო გეიაღლუმი, დადასტურდა, რომ გადაჯიშებული ხელისუფლება მართლაც აპირებდა პედერასტებისა და ლესბოსელების ამ უმწიკვლო ქალაქში ჩამოთრევას და გულისამრევი სანახაობის ორგანიზებას.

აი, მათი ჭეშმარიტი სახე!

ახლა მაინც თუ მიხვდა საქართველო, რომ ამგვარი გაფაციცებული მშენებლობებით ხელისუფლება აპირებდა ბათუმელების **"მოთაფლვას"** – ხომ ხედავთ, რამდენი რამე აგიშენეთ, ახლა გეიაღლუმს თუ ჩაგვატარებინებთ, ორ ამდენს კიდევ აგიშენებთო.

ეს არ გახლავთ უსაფუძვლო ეჭვი!

ღვთის მადლით, არ მოტყუვდნენ, ბათუმლები!

როგორც გახსოვთ, ხელისუფლება არჩევნებამდე 100-დოლარიან პენსიასაც გვპირდებოდა, მაგრამ თავისი რომ გაინაღდეს, პენსია 100-ლარიან ნიშნულზე გაყინეს, და ეს მაშინ, როცა ქვეყნის ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა.

ჩაატარებდნენ გეი-აღლუმს, რომელიც ჩაეშლათ და ამით გამწარებულები აღარაფერსაც არ გაგიკეთებენ!

მეორეც, ეს ყველა ქართველისათვის მართლაც სათაყვანებელი **"ქათქათა"** ქალაქი გადაჯიშებულ საზიზღარ არსებათა გაჯირითების ადგილად არ უნდა ქცეულიყო, რადგან ეს მართლაც შეიტანდა ხინჯს სრულიად საქართველოსა და მის ერთ-ერთ საიმედო საყრდენს შორის.

მაგრამ, ერთი რამ მაინც მაიმედებს, ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი უსაყვარლესი ქალაქია და თუ ხელისუფლება როდისმე კიდევ დააპირებს აქ ამ სამარცხვინო ღონისძიების ჩატარებას, სრულიად საქართველო ბათუმელების გვერდით დადგება და არ დაუშვებს ამ სულიერებითა და ზნეობრიობით გამორჩეულ ქალაქში სატანის აღზევებას, ისევე როგორც ეს არ დაუშვა 26 აგვისტოს.

თუ ასე ერთად დავდგებით ქართველები, ხელისუფლება ვეღარც არჩევნების თავხედურად გაყალბებას გაბედავს.

ამას წინათ, ჯავახეთში ყოფნისას ამერიკიდან ჩამოსული სომეხი ეროვნების მილიონერი გამაცნეს, რომელიც სამშობლოს იმიტომ ესტუმრა, რომ ადგილობრივი სომხები გაეფრთხილებინა: არამც და არამც სომხეთში ამერიკელები არ შემოუშვათ, თორემ ტრადიციებს გაგინადგურებენ და უსახო ერად გაქცევენო! თუ გსურთ სახე და ტრადიციები შეინარჩუნოთ, რუსებს ერთ ნაბიჯზე არ მოშორდეთო.

და ამას ამბობს ამერიკის მოქალაქე, რომელიც სწორედ ამ ქვეყანაში გახდა წარმატებული ბიზნესმენი!

ჩვენ როდის უნდა შევიგნოთ, რომ ამერიკელები სამშობლოს გვინადგურებენ და როდის უნდა გავრეკოთ ისინი საქართველოდან თავიანთ ქართველ მარიონეტებთან ერთად?

განა ამაზე არ უნდა დაფიქრდეს ქართველი ერი?

მანამდე კი, ფრთხილად ვიყოთ, რადგან ქართულ ზნეობას ავბედითად უღრენენ ანტიქრისტეები და მათი გამოკვებილ-გამოზრდილი მანქურთები!

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისის" აკადემიის
წევრი

იუმორი

* * * რა განსხვავებაა არწივსა და ღორს შორის?

– ერთი ბოთლი არაყი!

* * *

თუ თქვენი მეზობელი ღამის სამ საათამდე ხმამაღალი მუსიკით გაყრუებთ, დაურეკეთ მას 4 საათზე და უთხარით, რომ მუსიკა მოგეწონათ.

* * *

ბარმენი:

– თქვენს მიერ მოცემული ფული ყალბია.

– არც თქვენი კონიაკია ნაღდი.

* * *

ვასილ მჟავანაძე და მიხეილ სააკაშვილი კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანთან მივიდნენ, რათა გაეგოთ, თუ რა აზრისა იყო ტიტანი მათზე.

– ჩემზე რას იტყვი? – ჰკითხა მჟავანაძემ.

– შენ ვინა ხარ? – დაუბრუნა კითხვა ამირანმა.

– მე მჟავანაძე ვარ, საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ვიყავი...

– შენზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი, კეთილ და საქმიან ადამიანად გიცნობ!

– ჩემზე რას იტყვი? – ჰკითხა ახლა მიხეილ სააკაშვილმა.

– შენ ვინა ხარ?

– მე საქართველოს პრეზიდენტი ვარ!

– მიჯაჭვული არ ვიყო, დედას გიტირებდი! – დაიქუხა მკერდ-დაკორტნილმა ამირანმა და კინაღამ აიწყვიტა.

გამოვიდა ჩვენი მეგობრისა და თანამოაზრის, ხელოვნებათმცოდნე სულიკო ხეტეშვილის წიგნის "ჯანმრთელობის საგანძური" მეორე ტომი.

წიგნში თავმოყრილია სამასამდე დაავადების ორიათასამდე რეცეპტი და რჩევა-დარიგებანი და განკუთვნილია ყველა ოჯახისათვის, რომელთაც არ დაუკარგავთ სიცოცხლის წყურვილი, მიზნად დაუსახავთ ყოველგვარი დაავადებისაგან თავის დაღწევა, სურთ ყოფნა მხნედ და ენერგიულად.

წიგნის საბითუმო ფასებში შეძენის მსურველებისათვის საკონტაქტო ტელეფონია
75-68-22 899-73-11-24

განცხადება

ცნობილი ქართველი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე შეიძენს ან დროებით ითხოვებს მისი მამის, ცნობილი ქართველი მწერლის დია ჩიანელის რომანს "გიონ დარანა", რომელიც გამოცემულია მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში (1970 წლის გამოცემა არ შეგვიძლია). წიგნი შეძენილი იქნება ხელსაყრელ ფასებში.

დაგვიკავშირდით
ტელ. 899-57-33-22 ან 897-34-43-70.
რედაქცია.

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ჩა ბუმ-კუნი

დაიბადა 1953 წლის 21 მაისს სამხრეთ კორეაში.

თამაშობდა კლუბებში **"დარმშტადტი"**, **"აინტრახტი"** ფრანკფურტი, **"ბაიერი"** ლევერკუზენი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

გერმანიის ამ უმაღლესი ლიგის გუნდებში თამაშისას ჩა ბუმ კუნმა სავსებით დამსახურებულად მოიოიპოვა სამხრეთ კორეის უძლიერესი ფეხბურთელის სახელი. იგი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1978 წელს ჩავიდა და მაშინვე ჩაირიცხა საფეხბურთო კლუბ **"დარმშტადტის"** შემადგენლობაში. ჩა ორჯერ გახდა უეფას თასის მფლობელი: ერთხელ, **"აინტრახტის"** შემადგენლობაში – 1980 წელს და, მეორედ, **"ბაიერის"** შემადგენლობაში – 1988 წელს. მეორე შემთხვევაში, მან დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის წარმატებაში, როცა ფინალურ მატჩში **"ესპანიოლას"** წინააღმდეგ, გადამწყვეტი გოლი გაიტანა. მაგრამ, სავსებით გაუგებარი მიზეზების გამო, მას შემდეგ, რაც გერმანიაში გადაბარგდა, სამხრეთ კორეის ნაკრების მესვეურებმა ამ უნიკალური მონაცემების მქონე ფეხბურთელის მიმართ ინტერესი დაკარგეს. მხოლოდ ერთხელ, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, მან ერთადერთ მატჩში მიიღო მონაწილეობა სამხრეთ კორეის ნაკრების შემადგენლობაში.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო საქმიანობას მოჰკიდა ხელი და სწორედ მისი ხელმძღვანელობით ჩავიდა სამხრეთ კორეის ნაკრები საფრანგეთში 1998 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე.

ამჟამად ჩა ბუმ კუნი კვლავ აგრძელებს სამწვრთნელო მოღვაწეობას.

სტეფან შაპიუიზა

დაიბადა 1969 წლის 28 ივნისს შვეიცარიაში.

თამაშობდა კლუბებში **"ფკ მალე"**, **"რედ სტარი"** ციურიხი, **"ლოზანა"** შვეიცარია, **"ბაიერი"** იურდინგენი, **"ბორუსია"** დორტმუნდი (გერმანია), **"გრასჰოპერსი"** (შვეიცარია).

სტეფან შაპიუიზა, რომელიც დღემდე შვეიცარიის საუკეთესო ბომბარდირად ითვლება, ცნობილი ფეხბურთელის პიერ-ალბერტ შაპიუიზას შვილი გახლდათ, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით გამოდიოდა შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში. იგი საუკეთესო დამცველი გახლდათ, რომელიც ხშირად **"იფეთქებდა"** და თავდასხმაში გადაერთვებოდა ხოლმე.

სტეფანი, მამისაგან განსხვავებით, მყარად იბრძოდა თავდასხმის ფრონტზე, იყო საკმაოდ მშვიდი და ყოველთვის მეთოდურად, აუღელვებლად უტევდა მოწინააღმდეგის კარს.

1991 წელს სტეფან შაპიუიზა გერმანიაში გადავიდა და თავდაპირველად იურდინგენის **"ბაიერში"** დაიწყო თამაში. ზუსტად ერთი წლის შემდეგ მან **"ბორუსიიდან"** მიიღო მიწვევა და ამ გუნდში გადაბარგდა.

სტეფან შაპიუიზა წარმატებით გამოვიდა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და წლის საუკეთესო ფეხბურთელადაც იქნა აღიარებული. საერთოდ კი უიღბლობა ამ ფეხბურთელის სპორტული კარიერის მუდმივი თანამდევი გახლდათ, რადგან მოედანზე ხშირად იღებდა ტრავნებს. ასე იყო 1997 წელსაც, როცა სტეფან შაპიუიზამ მრავალი მატჩი გააცდინა სერიოზული ტრავმების გამო. მაგრამ, ამავე წელს, დაბრუნდა თუ არა გუნდში, ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ მის მშობლიურ **"ბორუსიას"** მოეპოვებინა ჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი, შემდეგ კი დაპატრონებოდა საკონტინენტშორისო თასს.

ჯონ ჩარლზი

დაიბადა 1931 წლის 27 დეკემბერს უელსში.

თამაშობდა კლუბებში **"ლიდსი"** ინგლისი, **"იუვენტუსი"** იტალია, **"ლიდსი"** ინგლისი, **"რომა"** იტალია და **"კარდიფი"** უელსი.

"ფეხბურთის გიგანტად" ცნობილი ეს ტანმაღალი და ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელი მართლაც რომ მოწინააღმდეგე გუნდის რისხვა გახლდათ. მას, ამავე დროს, **"ალერსიან გიგანტსაც"** უწოდებდნენ, რადგან მიუხედავად ამგვარი გაბარიტებისა, მოედანზე საკმაოდ მოქნილი და კორექტული გახლდათ. იგი ცენტრფორვარდი იყო და **"ლიდსში"** რეკორდი დაამყარა, როცა ერთი საფეხბურთო სეზონის განმავლობაში 42 გოლი გაიტანა. მაგრამ, უელსის ნაკრების შემადგენლობაში იგი ცენტრალურ მცველად თამაშობდა და საკმაოდ დიდი წარმატებითაც.

ჯონ ჩარლზი პირველი ბრიტანელი ფეხბურთელი გახლდათ, რომელიც 1957 წელს იტალიაში გადავიდა როგორც ლეგიონერი. **"იუვენტუსმა"** მაშინ ამ ფეხბურთელში ზღაპრული თანხა – 67.000 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა.

ფეხბურთის იტალიელ სპეციალისტებს არაერთხელ აღუნიშნავთ მაშინ, რომ გუნდმა ამ თანხის გადახდით მხოლოდ მოიგო, რადგან ჩარლზმა **"იუვენტუსს"** სამჯერ მოაგებინა იტალიის ეროვნული ჩემპიონატი. თავად ჯონ ჩარლზმა ამ გუნდში თამაშის განმავლობაში 150 მატჩში გაიტანა 93 გოლი, რაც შესანიშნავი შედეგი გახლდათ.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ იგი სამოყვარულო გუნდებს წვრთნიდა, აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს ფეხბურთზე და ჰქონდა საკუთარი მაღაზია.

გიორგი ჯალაღანია.

"რა ადვილია სიკვდილი, როცა ასე გიყვარს სიცოცხლე"

წელს პოეტი თამაზ ბაძაღუა 52 წლისა გახდებოდა. სანუგეშოდ დაგვრჩა მხოლოდ ის, რომ ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ, ორ ათეულზე მეტი წლების გასვლიდან, სულგანათლებული თამაზი ახალი კრებულით მოევლინა მკითხველს: **"სიზმარში მაინც ვხვდებით ერთმანეთს"**. კიდევ ერთხელ, საკუთარი წიგნით ხელდამშვენებულად შეაბიჯა ვირტუალურად თავის მშობლიურ კუთხეში დიდებულმა პოეტმა და პიროვნებამ, რომლის შემოქმედება საკუთარი ტრაგიკული ბედის ნოსტრადამუსისეული უტყუარი ჭვრეტა გახლდათ. იგი დაუბრუნდა მარტვილს, რომელიც ოდითგან ცნობილია როგორც დიდ მამულიშვილთა, დიდ შემოქმედთა, დიდ მეცნიერთა და გამრჯე პატრიოტთა აკვანი. დაუბრუნდა მარტვილის მუზეუმს, რომელიც სულგანათლებულ შემოქმედს ესოდენ უყვარდა.

ლამაზი შემოქმედი თავის ლამაზ ოდაბადეში უკვდავებასთან წილნაყარ სახებად იქცა, რათა შემდეგ მთელი საქართველო დაეპყრო და დიდი სევდა დაევანებინა მისი გამაოგნებელი პოეზიის მოყვარულთა გულებში!

მან, როგორც განუმეორებელი ქართული სულის მქონე პოეტმა სწორედ მარტვილში აიდგა ფეხი. პირველი ხელდასხმა და დალოცვაც ქართული შემოქმედების უანგარო მოამაგე გივი ელიავასგან მიიღო, როცა მოსწავლეთა რაიონული სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მონაწილე ნორჩმა პოეტმა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სხდომათა დარბაზს გააცნო თავისი პირველი ლექსი **"ვაიმე დედა"**. ეს ვრცელი ნაწარმოები დიდი სამამულო ომის თემას ეძღვნებოდა. დარბაზმა ლექსის დამთავრებისთანავე იგუმანა, რომ მის წინ იდგა მომავლის დიდი პოეტი, მაგრამ...

ნიჭიერებით გამორჩეულ ახალგაზრდა შემოქმედს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა მარტვილის მუზეუმთან, გივი ელიავასთან, როგორც მოწაფეობის, ასევე სტუდენტობის დროსა და მის შემდეგაც.

მაგრამ მაღალი შემოქმედი თავისი ხედვით საზღვრავს ადამიანთა ბედს და თამაზ ბაძაღუას ჯერ კიდევ გზის დასაწყისში დაუღამდა. მასზე გამწყრალმა სვემ იგი მარადიულ მყუდროებაში ჩაიყოლია თავისი ნატოთი და თუთათი.

მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ მისმა ბიძაშვილმა, შესანიშნავმა მოქალაქემ და პიროვნებამ, ჩემმა მეგობარმა ბატონმა მალხაზ ბაძაღუამ (რომლის ხელდასხმითაც გამოიცა თამაზ ბაძაღუას კრებული – **"სიზმარში მაინც ვხვდებით ერთმანეთს"**) თამაზის მშობლიურ მარტვილის რაიონში სვედამწვარი პოეტის ხსოვნის საღამო მოაწყო, რომელმაც დიდი ესთეტიური სიამოვნება მიანიჭა დამსწრეთ. საღამოს მონაწილეები დიდი ენთუზიაზმით კითხულობდნენ თამაზის მიერ კრიალოსნებად აგებულ მუხტიან სტრიქონებს, რაც დიდ სევდაში ხვევდა დამსწრეთ, რადგან ყველანი გრძნობდნენ, რომ თამაზის სახით საქართველომ დაჰკარგა დიდი შემოქმედი, რომელმაც მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, მაინც ნათელი კვალი დაამჩნია უმდიდრეს ქართულ პოეზიას.

ქართული პოეზიის ოლიმპზე მხოლოდ გენიალური შემოქმედები იმკვიდრებენ ღირსეულ ადგილს!

ერთ-ერთი ასეთი დიდი შემოქმედია თამაზ ბაძაღუა!

ალბათ გრძნობდა ტრაგიკულ აღსასრულს თამაზი, რადგან იგი იმდენად ჩქარობდა, რომ თავისი ხანმოკლე არსებობით, როგორც პოეტმა, მნიშვნელოვნად გაუსწრო დროს.

გულსატკენია, როცა სიცოცხლეს ეთხოვება ტრაგიკულად დაღუპული იმედისმომცემი ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანი, რომელსაც თავისი ლექსებით დიდ ხანს შეეძლო გაელამაზებინა ჩვენი ყოფა!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თამაზ ბაძაღუასა და მისი ოჯახის ტრაგიკულად აღსრულებული წევრების სული!

მარტვილს კი მადლობას ვუძღვნით და ვიმედოვნებთ, რომ სამეგრელო კვლავაც გვიბოძებს გულმხურვალე შემოქმედ-პატრიოტებს!

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისის" აკადემიის წევრი

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www.ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
893-51-01-71
899-34-37-27